

ქართული

3(22) 2009
31060-036060



ქართუდი მარჯო ჯნან?
ქართუდი ქართუდო რწმენან!
დმერთიან, ზედისწერან,
ზღვან რთან, იძოღენან!

გერმანიის ქართული სათვისტომოს ორგანო

ნომეტიკა:

სახივრობის დღი	3
ქართული მხედრობის მეფე დავით IV აღმაშენებელი	4-7
სულთმფობა	8-9
Der georgische Bumerang	10
სულთმფობა უცხოეთს ინტერნეტ მარჯვნივ დახვეწილობის	11-12
„ქართული კულტურის“ საქართველოში	13-15
საქართველოს ბიზნესის კონტროლი	16-20
ქართული ბიზნესი	21
ქართული სპორტის ქართული კონტროლი დახვეწილობის	22-24
საქართველოს კულტურის	24-25
„საქართველოს“ მეფე	26-30

ს ა ვ ი რ ვ ა ე მ ვ ა რ მ რ ა ე ს ი

ნუ მნებ, რომ ჭაღში აყვავდა ნუში,
 რომ მთანძინდაზე და დაწვა თითქოს,
 რომ საქართველო ამ გაზაფხულში,
 როგორც ყოველთვის ნათვალს სვითოს;
 რომ მოთაჯალამ ჩაიცვა თუთბი,
 რომ მუნს ჩაიცივი ყაბა ყვავილის,
 რომ მცვეარი თხოვას,
 როგორც ყოველთვის,
 როცა მუცხის ახლოს ჩაივლის.
 ნუხელ ვუბნობდი ცუცხლს და ყრბიანს,
 და საქინელი ჭრბოლუჭის ნისლი
 მე მომჩვენა, საღვას ჩვენს ყვან
 აქვრუბული იდგა თბილისი.
 მოთაჯალამი ჰყვარდა ნუში,
 მთანძინდის მხრუბზე მზე იწვა თითქოს,
 და მუნ, ძვირფასო, ამ გაზაფხულში,
 როგორც ყოველთვის მოწვევადი სვითოს.
 ნუ მომნებ... ისე ვიცი, რაეკარი
 გრუჭით ჰყვარის თბილისი ახლა,
 რომ ვილას დაღის მინდვრებში ლამით
 და ღილისათვის ამნვანებს ნახნავს.
 მე ისე ვიცი, რომ ყარე ამინდებს
 მოაქვს გულუბნის საამო ვრთვა,
 და თუ ჭოლომდის ცყვია დაძინდობს,
 თუ გაზაფხულებს მუხვდებით ურთად, -
 გეცყვი, რომ მოვალ ჭრბოლანახალი
 და სიყვდილაძღის მუნთან დაკრჩევი,
 რომ ლამაზია მზე გაზაფხულის,
 ჭრბოლუჭის მუძღე - მზე გამაჩვენებს.

მიზა გლოვანი

რეზიუმე

ქართული მხედრობის მემკვიდრეობა



მეფე

დავით IV

აღმასრულებელი

1089 წელს, მას შემდეგ, რაც პროგრესულმა მოღვაწეებმა გიორგი მეორე აიძულეს გადამდგარიყო, ტახტზე ავიდა მისი ვაჟი, დავით მეოთხე. დავითს სიჭაბუკეში ცოლად შერთეს სომეხი ქალი, რომელთანაც შეეძინა უფლისწული დემეტრე. პირველი ცოლის შესახებ სხვა არაფერია ცნობილი. მეორე ცოლად მოიყვანა გურანდუხტი, ყივჩაღთა მთავრის, ათრაქა შარაღანის ძის ასული, რომლისგანაც შეეძინა კიდევ ერთი ძე ვახტანგი (ცუატა) და ასულნი – თამარი, კატა და თამარ მრწემი.

დავითს მძიმე მეკვიდრობა ხვდა წილად – დანგრეული და აშლილი ქვეყანა, ამოწყვეტილი და აყრილ-გახიზნული მოსახლეობა. დავითის პოლიტიკური საქმიანობა გეგმავრული იყო. პირველ რიგში საჭირო იყო წესრიგის დამყარება ქვეყნის შიგნით: ურჩი საერო და საეკლესიო ფეოდალთა ალაგმვა, სახელმწიფოს მმართველობითი აპარატის ცენტრალიზაცია და ჯარის რეორგანიზაცია.

დავითმა გარეშემო შემოიკრიბა ერთგული მოღვაწენი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს

მწიგნობართუხუცესი გიორგი და მეფის მოძღვარი არსენი. უპირველეს მიზნად დავითმა დაისახა ქართლის გაწმენდა თურქებისაგან და გაქცეული მოსახლეობის დაბრუნება მათ მიწა-წყალზე.

იმ ღონისძიებათა შორის, რომელიც დავით მეოთხემ განახორციელა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამხედრო რეფორმას, რომლის მიზანიც ლაშქრის რეორგანიზაცია და საქართველოს სამხედრო სიძლიერის გაზრდა გახლდათ. საჭირო იყო ლაშქრის რეორგანიზაცია, ჯარის სათანადო გაწვრთნა და დისციპლინის განმტკიცება.

დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ დავითს ჰყავდა „მცირე გუნდი მხედრობისა და იგინიცა დაჯაბნებულნი მრავალგზის მტერთაგან სიფლტოლითა უცხენო და უსაჭურველონი და თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად მოშიშნნ“.

დავითმა პირველ რიგში იზრუნა სამხედრო ნაწილების იარაღ-საჭურველითა და ცხენებით მომარაგებაზე, სწავლა-გაწვრთნასა, ჯარისათვის მხნეობისა და საკუთარი შესაძლებლობებისადმი

რწმენის ჩანერგვაზე. ჯარში დისციპლინისა და მხნეობის აღსადგენად დაუთმო, ვინც ვაჟაკობას გამოიჩინდა, იმათ „ქებითა და ნიჭთა მიცემითა“ ამხნეებდა, ჯაბანთა და მშვიდობის არცხვენდა დედაკაცთა ტანსაცმლით „შთაცუმიტა და კიცხვით ძაგებითა“.

სამხედრო ნაწილებში დროსტარება-გართობას ჰქონდა ადგილი, მტკიცედ არ სრულდებოდა რელიგიური სამსახურის ნორმები, რაც დისციპლინის დაცემას უწყობდა ხელს, ამიტომ დაუთმო „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინება ღმრთისა საძულელი, და ყოველი უწყესობა მოსპობილყო ლაშქართა შინა მისთა“.

დაუთმო თავის გარშემო შემოიკრიბა ერთგული მოლაშქრენი და ჩამოაყალიბა მეფის პირადი გვარდია – „მონა სპა“. „მონა სპის“ შექმნის მიზანი იყო მეფის საკუთარი, ფეოდალთაგან დამოუკიდებელი ძლიერი სამხედრო ნაწილის შექმნა, რომელიც პირველ რიგში დაიცავდა მეფის პიროვნებას, მუდამ მასთან იქნებოდა და უზრუნველყოფდა გადაუდებელ სასწრაფო სამხედრო ღონისძიებათა ოპერატიულად განხორციელებას. დაუთმო აღმაშენებლის მიერ სამხედრო დარგში გატარებული რეფორმის უმთავრესი მიზანი იყო ქართველთა ლაშქრის რიცხოვრივი გამრავლება.

მთელი ქართული ლაშქარი დაუთმო აღმაშენებელმა ძირითადად სამ ნაწილად გაყო. ერთ ნაწილს, როგორც აღვნიშნეთ, მეფის გვარდია, „მონა სპა“ წარმოადგენდა. მეორე ნაწილს მეციხოვნენი შეადგენდნენ, რომელთა მოვალეობას „ქალაქთა და ციხეთა შინა“ დგომა და ციხე-ქალაქების გამაგრება შეადგენდა; ხოლო მესამეს – საკუთრივ მოლაშქრეები, რომელნიც ისტორიკოსის სიტყვით, იყვნენ „დაუცხრომლად მიმოსვლასა და ლაშქრობასა მისსა ზამთარ და ზაფხულ“.

ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგად, დაუთმო უზრუნველყო ქვეყნისა სამხედრო შესაძლებლობების მობილიზება და მთელი ფეოდალური ლაშქრის ფუნქცია დაყენება.

ფართო საქმიანობისა და თურქთა წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლისათვის აუცილებელი იყო ქვეყნის შიგნით მდგომარეობის განმტკიცება და ურჩი ფეოდალების ცენტრალური მმართველობისათვის დაქვემდებარება. ასეთად ითვლებოდა კლდეკარის ბაღვაშთა სახლი, კერძოდ, ლიპარიტ მეოთხე. 1093 წელს, დაუთმისათვის ამკარა გახდა, რომ „ლიპარიტ ამირამ იწყო მათვე მამულ-პაპურთა კუალთა სვლა“ და შეიპყრო იგი. ლიპარიტმა მოინანია ცოდვები, მეფემ გაათავისუფლა და ძველ დიდებაში აღადგინა. მაგრამ 1095 წელს დაუთმა კვლავ შეიპყრო ლიპარიტი და ორი წლის პატიმრობის შემდეგ, 1097 წელს ბიზანტიაში გააძევა. 1103 წელს გარდაიცვალა

რატი, ძე ლიპარიტისა. დაუთმა გააუქმა კლდეკარის საერისთავო და ამით „დასრულდა სახლი ბაღვაშთა, სახლი განმამწარებელთა, რამეთუ სუა უკანასკნელი თხლე რისხვისა, სასუმელი ცოდვილთა ქუეყანისათა, და არღარაჲინ დაშთა საყოფელთა მათთა მკვიდრი“.

კლდეკარის საერისთავო მეფემ თავისად გამოაცხადა. დაუთმის ეს ღონისძიება სრულიად ეთანხმებოდა მისი სახელმწიფოებრივი საქმიანობის საერთო ხაზს, რომლის მიზანი საქართველოს საბოლოო გაერთიანება და ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა იყო მეფის ძლიერი ერთპიროვნული ხელისუფლებით.

ძლიერი საერისთავოების გაუქმებით, დაუთმა მნიშვნელოვნად დაასუსტა ოპოზიცია და გააძლიერა მეფის ხელისუფლება. საქართველოს ერთ სამეფოდ შეკერისათვის აუცილებელი იყო, რომ თრიალეთი მეფის ხელთ ყოფილიყო, რადგან აქ გადიოდა უმოკლესი გზა, რომლითაც საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი მის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს უკავშირდებოდა. ამასთანავე, თრიალეთს დიდი სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა და ამან განაპირობა საქართველოს გაერთიანებისთანავე ჯერ აფხაზთა მეფეების, ხოლო შემდეგ ქართველი მეფეების გამუდმებული ბრძოლა ამ პროვინციისათვის.

ბაღვაშთა მსგავსად, დაუთმის პოლიტიკის მოწინააღმდეგე იყო აბულეთისძეთა ფეოდალური სახლი, რომლის წარმომადგენელს, ძაგანს დაუთმა ყველაფერი ჩამოართვა. ლიპარიტისა და სხვათა ბედი სამაგალითოდ იქცა დიდგვაროვნებისათვის. ნათელი გახდა, რომ დაუთმი სათანადოდ უსწორდებოდა ურჩებს.

1092 წელს გარდაიცვალა თურქ-სელჩუკთა სულთანი მალიქ შაჰ პირველი. დაიწყო უფლისწულთა შორის ტახტისთვის ბრძოლა. თურქ-სელჩუკთა სასულთნოში შექმნილი მძიმე ვითარება ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა საქართველოს და მის ბრძოლას პერსპექტიულს ხდიდა. ამავე ხანებში საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა სხვა მხრიდანაც გაუმჯობესდა. 1095 წელს შემოდგომაზე კლერმონში შეკრებილ საეკლესიო კრებაზე პაპმა ურბან მეორემ საზეიმოდ გამოაცხადა ჯვაროსნული ომების დაწყება.

დაუთმ მეფე კარგად იყო ინფორმირებული იმის შესახებ, რაც ახლო აღმოსავლეთში ხდებოდა. მან სათანადოდ შეაფასა შექმნილი ვითარება და 1097 წელს სულთანს ხარაჯა შეუწყვიტა. „განძლიერდა დაუთმ და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიხამთრებდნენ ქართლს“. ეს ფაქტიურად ომის გამოცხადებას ნიშნავდა, მაგრამ სულთანმა დაუთმის გამოწვევა უპასუხოდ დატოვა. ამრიგად, ქვეყანა

გათავისუფლდა მძიმე და სამარცხვინო ხარკისგან, რომელიც 80-იან წლებში ხსნად მიაჩნდა დავითის მამას გიორგი მეფეს.

მართალია მცირე აზიაში შემოჭრილ ჯვაროსნებს თურქ-სელჩუკები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ, ასეთი დიდი ძალის შემოსვლა მახლობელ აღმოსავლეთში მაინც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.

მას შემდეგ, რაც თურქთა მარბიელ გუნდებს ფეხი ამოეკვეთათ და ქართლში დაზამთრების საშუალება მოესპოთ, დავით აღმაშენებლის წინაშე რეალურად დადგა გაერთიანებული საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილი ქართული მიწა-წყლის შემოერთების საკითხი. ასეთ მიწა-წყალს კი ქვემო ქართლი, თბილისი და მისი ოლქი, აგრეთვე კახეთ-ჰერეთი წარმოადგენდა. თურქების წინააღმდეგ მთელი ფრონტით შეტევაზე გადასვლისათვის აუცილებელი იყო მთელი ძალების მობილიზაცია.

დავითმა კახეთ-ჰერეთით დაიწყო. ბრძოლას კახეთისათვის იგი იწყებს ზედაზნის ციხით. მან „წარულო კვირიკეს ციხე ზედაზნი“. ერთი წლის შემდეგ კვირიკე გარდაიცვალა და კახეთში გამეფდა მისი ძმისწული აღსართანი. დავითმა კახეთსა და ჰერეთზე გადამწყვეტი შეტევის დაწყებამდე იქ თავისი მომხრეები გაიმრავლა. დავითის მომხრე ჰერმა დიდებულებმა აღსართან კახთა მეფე შეიპყრეს და მეფეს გადასცეს, რის შემდეგაც, დავითმა დაიკავა ჰერეთი და კახეთი.

ხელისუფლების ცენტრალიზაციისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეკლესიის ადგილს და მის მდგომარეობას სახელმწიფოში. მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში ქართულ ეკლესიაში გაძლიერდა ფეოდალური არისტოკრატის გავლენა, რასაც განსაკუთრებით შეუწყო ხელი ამ დროისათვის აქ საბოლოოდ ფესვგამდგარმა მემკვიდრეობითმა წესმა, რომლის ძალით უმაღლეს საეკლესიო თანამდებობათა დაკავება მხოლოდ მაღალი წოდების წარმომადგენელს შეეძლო.

იმუნიტეტმოპოვებულ და გაძლიერებულ ეკლესიას უკვე აღარ აწყობდა ძლიერი საერო ხელისუფალი. სახელმწიფო ცდილობდა ეკლესია თავის მოკავშირედ შეენარჩუნებინა. ისევე, როგორც საერო ფეოდალებში, ეკლესიაშიც სახელმწიფო ხელისუფლებას ჰყავდა თავისი მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც. დავითმა თავისი მომხრეების მხარდაჭერით შეძლო იმ დიდი ღონისძიების გატარება, რომელიც რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ განახორციელა. დავითის მომხრენი უნდა ყოფილიყვნენ გიორგი ჭყონდიდელი, არსენ ბერი - დავითის მოძღვარი, კათალიკოსი და სხვა საეკლესიო მოღვაწენი. ცალკეულ სასულიერო პირთა გარდა, მეფის პოლიტიკის მხარდამჭერად ზოგი ეკლესია-მონასტერიც გამოდიოდა.

დავითის ისტორიკოსის გადმოცემით, „წმინდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს“. ყოველგვარი უწესობა ეკლესიებიდან მოდიოდა, „რომელნი ნაცვლად სჯულთა საღმრთოთა ურჯულებასა აწურთიდეს მათ ქუეშეთა ყოველთა“. ამ უბედურების უმთავრესი მიზეზი ისტორიკოსის აზრით იყო ის, რომ „უღირსთა და უწესთა მამულობით უფრო, ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა, და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს“.

1103 წელს დავით აღმაშენებელმა საგანგებოდ ჩატარებული დიდი სამზადისის შემდეგ რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მოიწვია, რომლის მიზანი იყო ეკლესიაში მოკალათებული, მეფის მოწინააღმდეგე დასის განდევნა და უმაღლეს საეკლესიო თანამდებობებზე მეფის ცენტრალური პოლიტიკის მომხრეთა დანიშვნა-აღზევა. ამ მნიშვნელოვანი საქმის მომზადებისას, დავითს მხარში უდგნენ გიორგი მწიგნობართუხუცესი, რომელსაც კრების „ძეგლის აღწერა“ კრების „თვალს“ უწოდებს, იოვანე კათალიკოსი, იმავე დოკუმენტით დახასიათებულია, როგორც „ყოვლად ღირსი მთავარეპისკოპოსი, კათალიკოსი და ყოვლისა საქართველოსა დიდი მამათმთავარი“, წმინდა ბერი და სულიერი მამა ევსტრათი, არსენ ბერი და სიმრაველე „მამათა, მღვდელმთავართა, მღვდელთა და მონაზონთა“.

რუის-ურბნისის კრების დადგენილებით ეკლესიიდან განდევნილ იქნენ არაღირსებისამებრ აღზევებული მღვდელმსახურები და მათ მაგიერ ღირსეული და მეფის ხელისუფლების მომხრე პირები დაინიშნენ. დავითის ისტორიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას და მის დადგენილებას: „ძეგლი შუენიერი ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა აღწერეს, მიმდგომი და მოწამე წმიდათა ათორმეტთა კრებათა“. ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ძნელი იყო უღირს მღვდელმთავრებთან ბრძოლა, რადგან ისინი „იყვნენ კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შეილნნ, მაგრამ „უღირსად გამოჩინებულნი განკუეთნეს და შეაჩუენნეს, გარდამოსთხინეს საყდართაგან“.

ჭყონდიდის ეპისკოპოსი თავისი მდგომარეობით მეფის პოლიტიკას ემხრობოდა. იგი ყველაზე წარჩინებული იყო დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსთა შორის. მწიგნობართუხუცესს და ჭყონდიდელ ეპისკოპოსს ხელი მიუწვდებოდათ საეკლესიო საქმეებზე. სწორედ ამიტომ, რუის-ურბნისის კრების შემდეგ დავით აღმაშენებელმა ესორი „ხელი“ გააერთიანა და შექმნა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ინსტიტუტი.

ნიშანდობლივია, რომ ერთიანი ქართული

ფეოდალური მონარქიის არსებობის მანძილზე ეს „ხელი“ თითქმის უცვლელად განაგრძობდა არსებობას და დავით მეოთხის მიერ გატარებული ღონისძიება, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის არ დარღვეულა. ესეც, თავის მხრივ, მოწმობს ამ რეორგანიზაციის დროულობასა და საჭიროებაზე. პირველი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი გიორგი მწიგნობართუხუცესი გახდა.

ამრიგად, დავითის ღონისძიებათა შედეგად, ეკლესია მეფის ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს დაექვემდებარა. „კუალად მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიო განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითარც კანონსა უცთომელსა, ყოვლად შუენიერსა და დაწყობილსა, კეთილწესიერებასა და ლოცვისა და მარხვისასა“. ამჟამად დროს სასულიერო პირები სახელმწიფოს უზენაესი ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობდნენ, მაგალითად კათალიკოსი, მონასტერთა წინამძღვარი და სხვა მაღალი სასულიერო პირები სამეფო დარბაზსაც ესწრებოდნენ.

საქართველოში დავით აღმაშენებელამდე სასამართლო საქმეს მეფე აწარმოებდა, უმაღლეს სასამართლოში შეტანილი ყველა საქმე მეფეს უნდა გაერჩია.

ქართული სახელმწიფოს შექმნის ადრეულ ეტაპზე სასამართლოს წარმოების ასეთი წესი, ჩანს მისაღები იყო, მაგრამ სახელმწიფოს მმართველობის აპარატის გართულებასა და რაც მთავარია, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების და ამასთან დაკავშირებით მეფის უშუალო განსაგებელთა გამრავლების შემდეგ, სასამართლოს წარმოების ტრადიციული წესი ვეღარ ამართლებდა.

უმაღლესი სააპელაციო სასამართლო „სააჯო კარნი“ იყო. დავითმა „სააჯო კარში“ სამი მოსამართლე დასვა: მწიგნობართუხუცესი (უფროსი) და საწოლისა და ზარდახნის მწიგნობარნი. ეს სამეფო აწარმოებდა სასამართლოში შემოსულ საქმეთა გამოძიებას და მათი საშუალებით მოჩივარნი „მიიღებდეს კურნებასა“.

სახელმწიფო მმართველობის მოწესრიგებისა და ხელისუფლების ცენტრალიზაციის თვალსაზრისით, დავითმეოთხის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ე.წ. მსტოვართა ინსტიტუტის შექმნას. ისტორიკოსი მოგვითხრობს, თუ როგორ იყო მეფე ინფორმირებული ყოველივე იმის შესახებ, რაც მის სახელმწიფოში ხდებოდა. მეფემ იცოდა რა ხდებოდა ლაშქარში, მონასტრებში, დიდ ფეოდალთა სახლებში. ასე კარგად აწყობილი სამეთვალყურეო აპარატი საგრძობლად ზღუდავდა მეფისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებათა შესაძლებლობებს. მეფე დროულად

ახერხებდა მის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ლიკვიდაციას. ისტორიკოსი ნიშანდობლივად აცხადებს: „მრავალნი განპატიუებულნი იყვნენ და მხილებულ ესევითართათვის. ამისთვისცა ვერ ოდეს ვინ განიზრახა ღალატი რაითურთით დღეთა მისთა, არამედ იყო ყოველთაგან საკრძალავ და სარიდონი“.

სამეთვალყურეო აპარატი რომ დავითის შექმნილია, ეს ჩანს მისი ისტორიკოსის ჩვენებიდან. მას შემდეგ, რაც იგი აღნიშნავს დავითის მიერ ყოველივეს ცოდნას, დასძენს “ნუ ამას ეძიებ, მკითხველო, თუ ვითარ იქმნებოდა ესე, არამედ ამას სცნობდი, თუ რა სარგებელი პოვის ამათ მიერ”. ისტორიკოსი ამართლებს ამ ღონისძიებებს მათივე შედეგების მიხედვით და დასძენს: „დიდნი საქმენი და ფრიად სასწრაფონი წარმართა ამით, და მრავალთა კეთილთა მიხეზ იქმნა ესე: პირველად ორგულებასა და ზაკუასა, და ღალატსა რასამე ვერავინ დიდთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებადცა, არა თუ თქმად ვისდა, არცა თუ მეუღლესა და ცხედრეულსა თუისსა თანა, ანუ მოყუასსა თუისსა, გინა ყრმათა თუისთა თანა, ვინათგან ესე მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან, რომელ პირითაღმოსვლასავე თანა სიტყუისასა საცნაურ ქმნილ არს უეჭველად წინაშე მეფისა“.

საუარაუდოა, რომ სამეთვალყურეო აპარატი ქვეყნის გარეთაც მოქმედებდა და ხელს უწყობდა დავითის ინფორმირებას მისი მეზობლებისა და მტრების საქმიანობისა და მდგომარეობის შესახებ. ეს სამეთვალყურეო აპარატი შინაგან საქმეთა უწყებაში შედიოდა, რომელსაც სათავეში მანდატურთუხუცესი ედგა.

საქართველოს მეფის მიერ კახეთ-ჰერეთის დაპყრობა უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ მეზობელ მაჰმადიან მფლობელებს და განძის ათაბაგის მეთავეობით მის წინააღმდეგ აღსდგა „სულტნისა იგი ურიცხონი სპანი, ათაბაგი განძისა და უმრავლესი კახთა და ქუეყანისა ერზ. ბრძოლა გაიმართა ერწუსს 1104-1105 წლებში და დავითმა ძლევა მოიპოვა თავის მოწინააღმდეგეებზე, რის შემდეგ მან „თვითმპყრობელობით დაიპყრა ჰერეთი და კახეთი, ნებიერად აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი“.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მოშადაებულია ტელეკომპანია „საქართველოს“ პროექტ „მთავარსარდლის“ ლიტერატურული სცენარის მიხედვით ავტორი ლევან უმიკაშვილი

სულიწმიდა

სულთმთფუნება


„ერთი და ერთადერთი სულისმინდა, ნუგეშისმცემელი. და როგორც ერთი მამა ღმერთი და არ არსებობს მეორე, და როგორც ერთი მხოლოდშობილი ძე და სიყვავა ღვთისა და არ ჰყავს ძმა, ასევე ერთი სულისმინდა. არ არსებობს მეორე მისი თანასწორი სული. იგი არის საღვთო და გამოუცნობი. არის ცოცხალი, გონიერი, ყოველთვის და ყოველგან მყოფი მამასთან და ძესთან ერთად. არ არის ან ერთი ქმედება, ან ერთი ამოსუნთქვა, ან ერთი ჯადაგება მამისა ან ძისა, რომელიც განიფანცება ჰაერში, არამედ ერთი სახე, ერთი პირი, ცაღვე არსება. ის თვითონ მეწყველებს, მოქმედებს და წმინდაჰყოფს. ის ნათედმოსავს მართაღდა სულებს, წინასწარმეწყველებსა და მოციქულებს.“

წმ. პირივე იერუსალიმელი

სულიწმინდა არის ერთარსი, წმინდა და განუყოფელი სამების მესამე პირი ანუ მესამე იპოსტასი. იგი მარად მამისაგან გამოდის და ქვეყნად ძის მიერ იგზავნება. სულიწმინდა ჰუმარითი ღმერთია, რომელსაც ისეთივე ბუნება აქვს, როგორც მამა ღმერთს, რომლისგანაც გამოდის და ღირსებით უტოლდება მამასა და ძეს. სულიწმინდას მამისა და ძის ყველა ღვთაებრივი თვისება გააჩნია, გარდა პირადი თვისებისა. მამა ღმერთის პირადი თვისებაა უშობელობა, ძისა - შობილობა და სულიწმინდისა - გამოძავლობა. ქრისტიანული ეკლესია სულიწმინდის განსაკუთრებული მოქმედების სფეროს წარმოადგენს. მისი მონაწილეობის გარეშე მადლის გადმოსვლა არ აღესრულება. სულთმოფენობის დღიდან სულიწმინდა უხილავად იმყოფება ეკლესიაში და ეკლესიაც სულიწმინდითაა ცოცხალი.

საიდან მოდის სულთმოფენობა და რას ნიშნავს იგი? აღდგომიდან მეორმოცე დღეს გალილეიდან იერუსალიმში დაბრუნებული ქრისტეს მოწაფეები ერთ სახლში იყვნენ შეკრებილნი, უეცრად მათ მაცხოვარი გამოეცხადათ, რომელმაც აღუთქვა, რომ მალე მოუვლენდა სულიწმინდას და იერუსალიმს არ გაშორებოდნენ. შემდეგ ისინი ბეთანიის მიმართულებით ელეონის მთაზე წაიყვანა, აკურთხა შეკრებილნი და თანდათან დაშორდა მათ. ძე ღვთისა ცად ამაღლდა და ნელ-ნელა გაუჩინარდა. ეს იყო ამაღლება.

მოწაფეები სიხარულით დაბრუნდნენ იერუსალიმში და სულიწმინდის მოლოდინში დღეებს განუწყვეტლოვ ღოცვაში ატარებდნენ. ამაღლებიდან



მეათე ანუ აღდგომიდან 50-ე დღეს იერუსალიმში, სიონურ სახლში ერთად შეკრებილ მოწაფეებს ციდან

უცნაური ხმაური მოესმათ, რომელმაც მალე მთელი სახლი მოიცვა. რამდენიმე წუთში ცეცხლის ალი გაჩნდა იგი ცალკეულ ენებად გაიყო და ქრისტეს თითოეული მოწაფის თავს ზემოთ გაჩერდა. ისინი შესცქეროდნენ ერთმანეთის თავებთან მოციმციმე ცეცხლოვან გვირგვინებს და გრძნობდნენ, რომ მათზე სულიწმინდა გადმოდიოდა. ცეცხლის სახით სულიწმინდის გადმოსვლისას საღვთო ძალით აღივსნენ მოციქულები. სულიწმინდის გარდამოსვლა ცეცხლის ენების სახით მიანიშნებდა იმ ძალაზე, რომელიც მიეცათ მოციქულებს, რათა ქრისტეს მოძღვრება მთელ დედამიწაზე ექადაგათ. მოციქულები ლოცვით, მარხვით და დიდი მოღვაწეობით ელოდნენ ამ დღეს, რომლის ძალითაც სხვადასხვა ენებზე ამეტყველდებოდნენ.

ქრისტეს მოწაფეები რაკი სულიწმინდის მადლით აღივსნენ, უშიშრად გამოვიდნენ ხალხის წინაშე და სხვადასხვა ენაზე დაიწყეს ქადაგება. იმ დღეს იერუსალიმში მყოფ ყველა ადამიანს ესმოდა თავის ენაზე წარმოთქმული სახარება. პეტრე მოციქულმა კი იქ მყოფებს მოუწოდა, ცოდვათა მოსატყვევებლად ქრისტეს სახელით მონათლულიყვნენ რათა სულიწმინდის მადლი მიეღოთ. იმ დღეს მრავალი ადამიანი მონათლა და შეუერთდა ქრისტეს მოწაფეებს. ასე იშვა სამოციქულო ეკლესია სულიწმინდის მიერ.

მხოლოდ სულიწმინდამ, მისმა მადლმა მიანიჭა

მოციქულებსა და დედაეკლესიას ის უძლეველი ძალა, რომლითაც განათებულია მთელი ქვეყანა. სულთმოფენობის შემდეგ სულიწმინდა განუშორებლად იმყოფება ეკლესიაში და მისი მადლი განუწყვეტლივ აღასრულებს ყველა საიდუმლოს. ის დღე, როცა მოციქულებზე სულიწმინდა გარდამოვიდა, წმინდა სამოციქულო ეკლესიის დაარსების დღედ ითვლება დედამიწაზე. ჩვენ ვდღესასწაულობთ სულიწმინდის გარდამოსვლას და შევთხოვთ უფალს, რომ სულიწმინდა ჩვენც გვიძლოდეს ამ ქვეყნად.

„გული წმინდა დაჰბადე ჩემ თანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა“, დაგით მეფის ეს სიტყვები მიანიშნებს იმას, რომ ყოველ ადამიანზე გადმოვა სული წმინდის მადლი, თუკი თვითონ მზად იქნება ამისთვის. ხოლო ის, ვინც უფალს გულის კარს არ გაუღებს, ვერ შეძლებს შეიგრძნოს მადლი სულიწმინდისა.

სულთმოფენობას აღესრულება საზეიმო წირვა ყველა ეკლესიაში, მართლმადიდებელი ქრისტიანები ტაძარს ვარდებითა და სხვადასხვა ყვავილებით რთავენ, ეს სიმბოლოურად მიანიშნებს იმ მადლზე, რომელსაც ჩვენ სულთმოფენობის შედეგად ვიღებთ. გილოცავთ ყველას ამ ლამაზ დღესასწაულს და ვადიდებდეთ ერთად მამასა და ძესა და წმინდასა სულსა აჲ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ეკატერინე ცირიკაშვილი

წმ

12.05	წმინდა მოციქული ანდრია პირველ-წოდებული	05.06	ღირსი დამიანე, დემეტრიეოპოლი „შენ ხარ ვენახის“ მთქმელი (1157)
14.05	წმინდა კეთილმსახური თამარ მეფე (1213)	21.06	წმინდა მოწამე თევდორე ძღვრელი (კველთელი)- რწმენის, მეფისა და სამშობლოსათვის თავდადებული (1609)
20.05	ღირსი იოანე ზედაზნელი და მისი თორმეტი მოწაფე: აბიბოს ნეკრესელი, ანტონ მარტყოფელი, დავით გარეჯელი, ზენონ იყალთოელი, თადეოს სვეფანსძინდელი, ისე წილკნელი, იოსებ ალავერდელი, ისიდორე სამთავრელი, მიქაელ ულუმბოელი, შიროს ბრეთელი, სვეფანე წიწსელი და შიო ძღვიძელი (VI)	22.06	ღირსი მამა იოანე შავთელ-გაენათელი (XIII)
26.05	ღირსი ექვთიმე ათონელი (1028)	26.06	წმინდა ანთიმოზ ივერიელი (1716)
01.06	წმინდა მოციქულთა სწორის ნინოს შემოსვლა საქართველოში (323)	29.06	წმინდა მამა ქაიხოსრო ქართველი (1612)
		30.06	წმინდა მოწამე შალვა მთავარი, ახალციხელი (1127)

კონიხია

Der georgische Bumerang

Ich glaube, es herrscht in Rußland eine Art Selbstbetrug vor, was die eigene Rolle im Kaukasus betrifft. Und dieser Selbstbetrug beruht auf einem Mangel an historischem Bewußtsein. Der russische Philosoph Rosanow sagte einmal: \“Wenn man an einem Sonntag sieht, wie ein Vater mit seinem Sohn über den Roten Platz schreitet und ihm dabei von der Geschichte seines russischen Vaterlandes erzählt, kann man sich sicher sein, daß es sich dabei um einen Deutschen handelt...\“ Auch Dostojewski beklagte, Rußland mangle es an einer heiligen Überlieferung, an Geschichtsbewußtsein... Was die russische Rolle im Kaukasus anbelangt, herrscht in Rußland der Glaube vor, man sei mit dem Vertrag von Georgiewsk den bedrohten Christen des Kaukasus zu Hilfe geeilt. Diese Undankbaren hätten sich dann aber von Rußland abgewandt. Tatsächlich jedoch eilte Rußland Georgien nach dem Vertrag von 1783 keineswegs zu Hilfe. Die Georgier brachen in blindem Vertrauen auf Rußland mit den muslimischen Flankenmächten. 1795 verwüstete daraufhin der Kadscharenkhan Tiflis, ohne daß Rußland die vereinbarten Truppen geschickt hätte. Nach der Verwüstung half man nicht beim Wiederaufbau, im Gegenteil, man annektierte 1801 Georgien, deportierte das georgische Königshaus nach Rußland und beseitigte die uralte autokephale georgische Kirche. Sie wurde in die russische eingegliedert, das Georgische in Gottesdienst, Predigt und Unterricht an den Priesterseminaren verboten, uralte Fresken überpinselt (Muslime dagegen hatten diesen immer nur die Augen ausgekratzt) und das Land immer mehr russifiziert. Raub von Ikonen und Kirchenschätzen durch Vertreter Rußlands waren alltäglich. Diese Dinge lassen sich gut bei N.N.Durnovo nachlesen, der vor einem Jahrhundert diesen Mißbrauch anklagte. Oder bei Gribojedow. Was die Abchasen angeht, so wollte Rußland im XIX. Jh. nach einem Aufstand sämtliche Abchasen in die Türkei deportieren. Der georgische Bischof von Suchumi

rettete die Abchasen, indem er bei der russischen Verwaltung für sie eintrat. Abchasien und Samatschablo (das Land des Fürsten Matschabeli um Zchinwali) gehören nicht seit Sowjetzeiten und auch nicht seit dem Mittelalter, sondern bereits seit der Antike zu Georgien. Davon legen Toponymie, antike Schriftsteller und Chroniken ein Zeugnis ab. Bis Rußland im Kaukasus erschien, lebten Georgier, Osseten und Abchasen in einer fruchtbaren Symbiose. Beispielsweise war Tamar, die Lichtgestalt des georgischen Mittelalters, mit einem ossetischen Prinzen vermählt. Heeresdienste von Osseten, Abchasen und anderen Kaukasusvölkern unter georgischem Banner waren über Jahrhunderte eine Selbstverständlichkeit. Die jetzigen Zwistigkeiten sind eine Folge des imperialen Divide et impera. Als Gorbatschow den neuen Unionsvertrag ausgearbeitet hatte und der georgische Präsident ihn nicht unterzeichnen wollte, drohte Gorbatschow, im Falle der Verweigerung würden von Georgien nur noch Tiflis und Kutaisi bleiben - in etwa die Situation, in welcher sich Georgien heute befindet. Ich wünschte mir sehr, man würde sich in Rußland einmal mit diesen Dingen aufrichtig auseinandersetzen. Das wäre der Anfang für ein gutes georgisch-russisches Verhältnis. Bisher haben alle Dinge, die Georgien durch Rußland erlitt, nach einiger Zeit Rußland heimgesucht: Das Imperium verfolgte die georgische Kirche - und die russische Kirche wurde verfolgt. Das Imperium beseitigte das georgische Königshaus - und Rußland verlor seine Dynastie. Wenn Rußland heute Georgien zergliedert, so ist das der Anfang des Zerfalls von Rußland selbst. Ich mache keine Witze. Beten Sie dafür, daß Georgien einig und stark ersteht - wenn Ihnen Rußland teuer ist...

Philipp Ammon

ზელისჩეჟოვა უცვლელია

ამჯობად ჩვენი სცენარია მკვილობინე მამუკა ფარესიძელი. პოდელიც 1993 წლიდან მუშაობდა ინგოლდსტადტის ქართულ კამერულ ორკესტრს. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა მუსიკოსმა წარმატებით აუწყო ვენის ორკესტრის მოთხოვნილებებსა და ეულისცემას.



მამუკა ფარესიძელი

— მამუკა, ნოსტალგიური წლებიდან რას გაიხსენებდი?

— დავიბადე თბილისში. მამა, მერაბ ფარესიძელი მომდერალი გახლდათ. გარკვეული წლების მანძილზე იგი თბილისის საოპერო სცენაზე მღეროდა. შემდეგ სხვადასხვა მუსიკალური სკოლების დირექტორად მუშაობდა. დედა, ლამარა სანაძე პედაგოგი იყო.

აღბათ, როგორც ყველა ბავშვი მეც ძალით შემიყვანეს მუსიკალურ სასწავლებელში და დედაჩემის გამუდმებული კონტროლისა და მომთხოვნელობის წყალობით შემდგომ უკვე სერიოზულად დავიწყე ფიქრი მუსიკოსობაზე. მუსიკალური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ სწავლა კონსერვატორიაში გააგრძელე პროფესორ სამსონ გონაშვილის ხელმძღვანელობით.

ჯვარში მსახურობისას ვიყავი ჯვარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის წევრი. შეიძლება ითქვას იქ დიდი პრაქტიკა გავიარე.

ბევრს ვმოგზაურობდით და შესაბამისად პროგრამაში იმ ქვეყნების მუსიკალური რეპერტუარი შედიოდა, სადაც ვმართავდით გასტროლებს. თბილისში დაბრუნების შემდეგ შესაძლებლობა მომეცა გამეფართოებინა მუშაობის ასპარეზი. ამ პერიოდში ვიყავი სხვადასხვა ცნობილი მუსიკალური ანსამბლების თანამშრომელი. 1992-93 წლებში გავხდი საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის წევრი. ამ მოვლენამ ჩემს ცხოვრებაში დიდი კვალი დატოვა. კვარტეტში მე ბევრი რამ ვისწავლე. ასეთივე მნიშვნელოვანი ფაქტი იყო ჩემთვის ინგოლშტადტის ქართულ კამერულ ორკესტრში მოსვლა. ამ დროიდან ჩვენ საქართველოს ელჩები გავხდით არა მხოლოდ გასტროლების დროს სცენაზე გამოსვლებისას, არამედ უკვე უცხო ქვეყანაში ჩვენი ცხოვრების წესითა და კულტურული ფასეულობებით.

— ნამდვილად, უდაოა ის ფაქტი, რომ საქართველოდან უცხოეთში საგასტროლოდ ჩამოსული კულტურული კოლექტივები ტრიუმფალური წარმატების მომსწრენი ხდებიან, რაც ყველა ჩვენთაგანის სიამაფის წყაროცაა. თუმცა, თქვენი ორკესტრის შემთხვევაში საქმე საკმაოდ ორგინალურ მოვლენასთან გვაქვს. ათწლეულების მანძილზე თქვენ საქართველოს სახელით დგებართ როგორც სცენაზე, ასევე კულისებში...

— თავისთავად, ორკესტრის პოპულარობა მისმა მაღალმა პროფესიონალურმა დონემ განაპირობა. ამდენი წლის შემდეგაც მისდამი ინტერესი ერთი წუთითაც არ შენელებულა. ყოველწლიურად ახალი პროგრამით იცვლება ჩვენი რეპერტუარი და ჩვენს გვერდით კვლავ პერსპექტიული ღირიფორ-ხელმძღვანელები დგანან.

თუმცა, სცენის იქით ჩვენი ყოველდღიურობა იშლება, თავისი პრობლემებითა თუ წარმატებებით.

ინგოლშტადტში მეუღლითა და 2 ვაჟიშვილით ჩამოვედი. მესამე ბიჭი აქ შეგვეძინა. თავიდან პრობლემების სიმრავლემ მაფიქრებინა, რომ

ამდენის ატანა შეუძლებელია. საბედნიეროდ, კეთილი ადამიანების დახმარებით ჩვენ შევძელით უცხო საზოგადოებაში ინტეგრირება. რომ არა ჩვენი მეზობლები ცოლ-ქმარი ჰილდე და ერვინ ვარტენფელზერები არ ვიცი როგორ წარიმართებოდა ჩემი ოჯახის საქმე. ამ ადამიანებმა გაგვანცვიფრა თავიანთი სიკეთით, ყურადღებით. სამწუხაროდ, დღეს ისინი ცოცხლები არ არიან, მაგრამ ჩვენ მათ ქვეყანაში მათ მიერ დიდი სიყვარულითა და სიკეთით დაგებულ გზას მივუყვებით.

— მამუკა, ამასობაში ვაჟიშვილებიც დაგეგმავს დაგეგმავს. ისინი აქ გაიზარდნენ. რა აკავშირებთ მათ სამშობლოსთან?

ჩემი ოჯახი ყოველთვის იმით ამაყობდა, რომ ჩვენი წინაპარი, ხეთისო ფარესიშვილი ერთ-ერთი მებრძოლი იყო იმ 300 არაგველიდან, რომელთა სახელიც უკვდავია. ამიტომ, სადაც არ უნდა ვიყოთ ოჯახური ტრადიციები გრძელდება და სულისკვეთება უცვლელია.

მერაბი, ჩემი უფროსი ვაჟიშვილი სკოლის დამთავრების შემდეგ საქართველოში გაემგზავრა და ქართულ-გერმანულ კოლეჯში გააგრძელა სწავლა. მართალია, იქ არც თუ ისე დიდი ხანი დარჩა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე დიდი მონდომებით სწავლობდა ქართულ ლიტერატურას. ამჟამად იგი კომპიუტერულ ინფორმატიკას სწავლობს. მუსიკისადმი ინტერესი მერაბმა შედარებით გვიან გამოამჟღავნა, მაგრამ ძალიან ინტენსიურად.

გიორგი კი თავიდანვე მუსიკას მიჰყვა. იგი არაერთხელ გამხდარა სხვადასხვა მუსიკალური კონკურსების ლაურიატი. დღეს გიორგი მიუნხენის უმაღლესი მუსიკალური სასწავლებლის სტუდენტი და ვიოლინოს ეუფლება.

ლევანი სკოლის მოსწავლეა. მუსიკა მასაც აინტერესებს. უკრავს ფორტეპიანოსა და ვიოლინოზე. ლევანიც ხშირად იღებს მონაწილეობას მუსიკალურ კონკურსებში.



ფარესიშვილების ოჯახი

— თქვენი მეუღლე, ქეთევან გუჯაბიძე, ჩვენი ჟურნალის სტუმარიცაა ხოლმე. იგი აგვისტოს დღეებშიც შემოეზიარა რედაქციას და თავისი ლექსით სამშობლოს დამცველ ჯარისკაცთა რიგებში ჩადგა.

— ქეთევანი პროფესიით მუსიკოსია. ჩვენ თანაკურსელები ვიყავით. იგი ლექსებსაც სიამოვნებით წერს. თბილისში ლექსების პატარა კრებულებიც გამოუშვა. თუმცა, მისი ძირითადი საქმიანობა ისევ მის პროფესიასთან არის დაკავშირებული და ადგილობრივ მუსიკალურ სკოლაში ბავშვების მუსიკალური აღზრდითაა დაკავებული.

— მამუკა, კურიოზები თუ გახსენდება?

— ერთხელ ჩემი პატარა ბიჭი წავიყვანე ცირკში. ჯამბაზი დოღს უბრაზუნებდა. უცებ მან მოინდომა არენაზე გამოვეყვანე და ის გამემეორებინა, რასაც დაუკრავდა. ლევანიმ ძალიან მთხოვა გავსულიყავი და ოხუნჯობაში ავყოლოდი ჯამბაზს, თორემ ნამდვილად არ ვაპირებდი იქ ოჯახების გამართვას. პირველად მართლაც ავეყვი მას, მაგრამ მერე სიცილი რომ დაიწყო, მასე არ უნდა მეთქი ვიფიქრე და შევუბერე ჩემებურად. ძნელი გადმოსაცემია ის, რაც უცებ იქ დატრიალდა, ხალხმა ატეხა ტაშის დაკვრა, ჯამბაზმა გაკვირვებისაგან თვალები აცეცა, აღარ იცოდა რა ექნა. ლევანი იცინოდა და გაიძახოდა: საწყალი ჯამბაზი, რა იცოდა მუსიკოსს რომ გადაეკიდაო.

საერთოდ, ლიტურებზე ჩემი დაკვრა კურიოზებთან არის დაკავშირებული. ერთხელაც წუთი-წუთზე კონცერტი უნდა დაწყებულიყო და ლიტურისტი საცოხში იყო მოხვედრილი. მის მაგივრად მაშინ სრულიად მოუშხადებლად მე მომიწია გამოსვლა და მას შემდეგ უფრო თამამად შევეყურებ ამ ინსტრუმენტს.

— ხელოვნების კიდევ რომელი დარგი გიზიდავს?

— მხატვრობა.

— ხატავ?

— არა.

— ადგილი საქართველოში, რომელიც შენთვის გამორჩეულად მიმზიდველია.

— დათოვლილი მთები, მთიულეთი. ის ადგილები, სადაც ბავშვობაში მირბენია...

— გერმანიაში?

— ბავარიული სოფლები. კიდევ დიტრამსცელის ტყეები მომწონს, ბორჯომის ხეობას მაგონებს. ამ ადგილებში ყოველწლიურად გვაპტიჟებს ჩვენი მეგობარი, საქართველოზე შეყვარებული ადამიანი ბენო ლიხტენეგერი.

— განტვირთვაში რა გეხმარება?

— მეგობრებთან სუფრაზე ყოფნა. მთიულური ხინკლის კეთებაც არ მეზარება და ლუდთან ერთად მოლხენაც.

ნინო ცხომელიძე-დეპერშმიდტი



ნინო ინჯია

**„ოქროს
კენტაური“
სამხატვრო**

ყოველწლიური ლითოგრაფიული ნამუშევრების კონკურსი „ოქროს კენტაური“ უკვე კარგად ფესვგადგმული ტრადიციას მიუჩნენის ხელოვნების სახლში. მასში ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყნის სამხატვრო აკადემიის სტუდენტები იღებენ მონაწილეობას. წელს კონკურსში სამი ქართველი სტუდენტი: ნინო ინჯია, მარიამ გუგუშვილი და თამარ ნადარეიშვილი იღებდნენ მონაწილეობას. თვრამეტი ქვეყნიდან ჩამოტანილ 65 ნამუშევარს, 10 კაციანი ჟიური აფასებდა. ნამუშევრების დონე მათივე თქმით წელს განსაკუთრებით მაღალი იყო და არჩევანის გაკეთებაც, შესაბამისად, იოლი არ ყოფილა. ადგილები საბოლოოდ ასე გადანაწილდა: ორი მესამე, ერთი მეორე და ერთი პირველი ადგილი. გარდა ამისა საუკეთესო ათეულიც დასახელდა. საუკეთესო ათეულში თამარი მოხვდა, ერთ-ერთი მესამე ადგილი მარიამ გუგუშვილს ერგო. პირველი ადგილი, პრიზი „ოქროს კენტაური“ და ჯილდო 10.000 ვეროს ოდენობით ქართველმა კონკურსანტმა ნინო ინჯიამ დაისაკუთრა. ამით თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა კიდევ ერთხელ საქართველოს სახელი მის საზღვრებს გარეთ საამაყოდ გაიტანეს. შეხვედრა პირველი და მესამე ადგილის მფლობელებთან მიუნხენში შედგა:

— პირველ რიგში მინდა მოგილოცოთ ორივეს წარმატება და გკითხოთ, როგორ მოხდა თქვენი საკონკურსო შერჩევა?

ნინო: ამ თემაზე საუბარი, ალბათ, პროფესორ კლაუს ჰიპისადმი მაღლობის მოხდით უნდა დავიწყოთ. მისი ინიციატივით და ხელშეწყობით უკვე დიდი ხანია აკადემიის სტუდენტები გერმანიაში ხშირად ჩამოდიან, მსგავს კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად და მის სახელოსნოში სამუშაოდ. „ოქროს კენტაურისათვის“ შერჩევაც მისი ინიციატივით მოხდა. აკადემიის ყველა სტუდენტმა წარადგინა საკუთარი ნამუშევარი. ნამუშევრების შერჩევაში მონაწილეობას ჩვენი ლექტორები და ბატონი კლაუს ჰიპი იღებდნენ. მათვე გადაწყვიტეს, რომ ჩვენ სამის ნამუშევრები წამოეღოთ გერმანიაში.

— სამივე ლითოგრაფიაში მუშაობთ, მაგრამ სხვადასხვა სახელოსნოში, რაა ამ სახელოსნოებს შორის განსხვავება?

ნინო: გრაფიკაა ყველა, მაგრამ იყოფა სამად: პლაკატი, დაზგური და ილუსტრაცია. პლაკატიც შეიძლება გაკეთდეს ლითოგრაფიაში, ილუსტრაციაც

და დაზგური ნამუშევარი, ალბათ, ყველაზე მეტად. ისე მოხდა რომ, სამივეს წარმომადგენელი მოეხვედით ამ კონკურსში.


— თქვენი შეფასებით, როგორი იყო კონკურსი თავისი სირთულით? სხვა ქვეყნებიდან ჩამოტანილ ნამუშევრებზე რას იტყვით?

ნინო: ჩვენ ვთვლიდით, რომ ჩვენი ნამუშევრები კარგი დონის იყო. როგორც აღმოჩნდა, იყო კიდევც. მაგრამ აქ რომ ჩამოვედით და აქაური ნახატები ვნახეთ, თითქოს გამარჯვების იმედი აღარც გვქონდა. აქ ძალიან კარგი ნახატები დაგვხვდა. ორგანიზატორებმაც გვითხრეს, რომ ძალიან რთული იყო არჩევანის გაკეთება, რადგან ყველა ნამუშევარი ძალიან მაღალი დონის იყო.

— ყველაფერი ამის ფონზე, რამდენაც მოულოდნელი იყო ეს წარმატება თქვენთვის?

ნინო: ძალიან დიდი სიურპრიზი იყო. არაფერ ელოდა, რომ ერთი ქვეყნის წარმომადგენლებიდან ერთი პირველ ადგილზე გავიდოდა, მეორე სამეულში და მესამე ათეულში. სულ თავიდან ყველა ქვეყნის სტუდენტი გამოიძახეს და კონკურსში მონაწილეობის სერტიფიკატები გადასცეს.

მათ ყველას ლექტორები ახლდათ თან. მარტო ჩვენ ვიყავით მასწავლებლების გარეშე ჩამოსულები და სერტიფიკატების ასაღებადაც მარტო გავყავით. ცოტა არასასიამოვნო იყო. ეს ყველაფერი დადებითად იმან შეცვალა, რომ ბატონმა ჰიპმა სიგელები თვითონ გადმოგვცა და ქართულად მოგვილოცა. ამის შემდეგ ქართულად წარმოთქვა სიტყვა. ჩვენ ინგლისურად და გერმანულად ველაპარაკებოდით ის ქართულად გვპასუხობოდა. უცებ მოვლენების ეპიცენტრი გავხდით. ამის მერე აღარ გვიგრძენია მარტო ყოფნა. კონკურსი რომ დაიწყო ჯერ მარიაში გამოაცხადეს მესამე ადგილზე, სიხარულით აღარ ვიცოდით რა გვექნა. მერე უკვე მე და თამარი ვფიქრობდით, რომ ჩვენ აღარ გავიდოდით პირველ ადგილებზე. მეორე ადგილი რომ გამოაცხადეს უკვე მივდიოდით, უცებ თქვენს რომ ეს პრიზიც საქართველოში მიდისო და ჩემი სახელი გამოაცხადეს, არ მახსოვს სკამიდან სცენაზე როგორ გადავინაცვლე. ამას კლაუს ჰიპის და გაბრიელა ჰაბსბურგის შემახილები მოყვა ქართულად: „საქართველოს გაუმარჯოსო“ ხალხი გოცებულები გვიყურებდა, ვერ ხვდებოდნენ რა ხდებოდა. ჩვენც ძალიან დავიბენით.



კლაუს ჰიპი გამარჯვებულ ქართველებს აჯილდოვებს

— ბატონ ჰიპს ყოველწლიურად ჩამოჰყავს ქართველი სტუდენტები სამხატვრო აკადემიიდან, თქვენ აქამდეც თუ ყოფილხართ, მსგავსი პროგრამით გერმანიაში?

ნინო: აკადემიაში გვქონდა ბატონ ჰიპთან აქამდეც შეხება. ხშირად დაგვიხატავს მისთვის. ჩვენი ნამუშევრებიც აქვს ნაყიდი. მაგრამ ჩვენ აქამდე არ მოვხვედრილვართ იმ სტუდენტების რიცხვში, ვინც მას გერმანიაში თავის სახელოსნოში ჩამოჰყავდა ხოლმე.

— მარიაშ შენს ემოციებზე მომიყვები. შენთვის რას ნიშნავდა ეს გამარჯვება? მითუმეტეს რომ პირველი შენ დაგასახელეს მთელ კონკურსში გამარჯვებულად.

მარიაში: ნამდვილად არ ველოდებოდი. სასწაული იყო. ჯერ კიდევ არ მჯერა. რომ გამოაცხადეს ჯერ

საქართველო და მერე ჩემი სახელი და გვარი შოკში ჩავვარდი, ვერ მოვდიოდი აზრზე.

— შეიძლება აქტუალური მაგალითიდან დაგვაცხვანთ, რომ საქართველოში უფრო კარგი თეორიული ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების მიღება შეიძლება თქვენს სპეციალობაში ვიდრე სხვა ქვეყნებში?

ნინო: მხატვრული დონე მართლა ძალიან კარგია საქართველოში. ასევე გვყავს ძალიან მაღალი დონის პედაგოგები, როგორცაა ჩემი სახელოსნოს ხელმძღვანელი. გოგი წერეთელი ყველაფერი რაც ვიცი, მან მასწავლა. ვთვლი, რომ მან კარგი გემოვნება ჩამომიყალიბა. აკადემიაში ზოგადად ძალიან მაღალი დონეა. ერმანეთისაგან რაც ძალიან განგვასხვავებს არის ის, რომ გერმანელებს ცალ-ცალკე სახელოსნოები აქვთ და ვიწრო სპეციალობაში ძალიან ძლიერები არიან. ესენი ერთი ხაზით მიდიან, ჩვენ საერთო განათლება გვაქვს. აქ ვინც ლითოგრაფიაში მუშაობს, ლითოგრაფიაშია ძალიან ძლიერი. ჩვენ თითქოს ყველაფერში ერთნაირად ვართ გამოწვრთნილები. ამათი აკადემია რომ დაგვათვალიერებინეს გოცებულები დავრჩით ისეთი ტექნოლოგიები აქვთ. ხელის ტექნიკა და შესრულება აქვთ უმაღლესი დონის. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ნახატი მოგეწონება. ჩვენთან პირიქითაა. პირველი კურსელები არაჩვეულებრივად ხატავენ. მაგრამ შემდეგ ყველას არა აქვს შესაძლებლობა, რომ მაგისტრატურაში გააგრძელოს სწავლა, 4 წელი კი ძალიან ცოტაა იმისთვის რომ ხელოვნად ჩამოყალიბდე. ძალიან ბევრია ფინანსებზე დამოკიდებული.

მარიაში: ამ კონტექსტში მეც აუცილებლად უნდა ავღნიშნო ჩემი ლექტორი თამაზ ვარვარიძე და ნინოს დავეთანხმო ზემოთ ნათქვამში.

— სამომავლო გეგმებზე მომიყვები.

ნინო (მაგისტრატურის სტუდენტი): ვაპირებ სწავლის საზღვარგარეთ გაგრძელებას, არ ვიცი ეს გერმანია იქნება თუ სხვა რომელიმე ევროპული ქვეყანა.

მარიაში (მეორე კურსის სტუდენტი): მე ჯერ აკადემია მინდა დაუამთავრო, მერე მაგისტრატურა. მეტი ჯერ არ ვიცი, ვნახოთ მანმადე რა იქნება. შეიძლება მერე მეც ვიფიქრო საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებაზე.

— ამ კონკურსში მონაწილეობაც თუ არის წინაპირობა საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსების მოპოვებისთვის? ან გამოჩნდნენ თუ არა კონკურსის შემდეგ შენი ამ საქმეში დახმარების მსურველები?

ნინო: კი იყო ასეთი შემოთავაზება კონკურსის ორგანიზატორებისგან, რომ თუ დავაპირებ საზღვარგარეთ სწავლას ისინი აუცილებლად დამქმნარებიან.

— აქამდე თუ მიგიღიათ სხვა კონკურსებში მონაწილეობა?

ნინო: მე უკვე მაქვს რამოდენიმე კონკურსში მონაწილეობა მიღებული. მაგრამ ყველაზე სერიოზული მათ შორის ეს კონკურსი იყო. ესპანეთში მქონდა ჩემი ნამუშევარი გაგზავნილი, იქ მხოლოდ ფინალში გავედი. იქაც ძალიან დიდი შოკი იყო, სადღაც 600-მდე მხატვარი იღებდა მთელი მსოფლიოდან 6 გამარჯვებული იყო და ათი ფინალისტი და ფინალისტებში გავედი. სტამბულშიც ვმონაწილეობდი, იქიდან მხოლოდ კატალოგი გამომიგზავნეს.

მარიამი: ეს ჩემი პირველი კონკურსია.

— და პირდაპირ მესამე ადგილით დაიწყო არა? ნინო რამეს განსაკუთრებულს მიაწერ შენს წარმატებას?

ნინო: როგორც ვთქვი, ძალიან ბევრს აკადემიას და ჩემს ლექტორებს. ალბათ, იმასაც რომ ძალიან შრომისმოყვარე ვარ. ბევრს ვმუშაობ საკუთარ თავზე. ბავშობიდან ძალიან ბევრს ვხატავდი. თავიდან სერიოზულად არ აღმიქვამდნენ და ჩემი ძმის მეგობრები ცოტას ხუმრობდნენ ხოლმე კიდევ ჩემზე. ახლა მეუბნებიან - თურმე მართლა ხატავდი და ჩვენ ვერ ვხვდებოდითო. კიდევ ერთი პრივილეგია მაქვს, ორივე ხელით ვხატავ. უფრო სწორად, ერთით ხატავ მეორეთი ვშლი. ჩემი მეგობრები სულ მაგას ამბობდნენ, შენ ორი ხელით მუშაობ და იგივე საქმე ჩვენ ერთი ხელით უნდა ვაკეთოთ, ამიტომ გამოგდის შენ უკეთო.

— საზღვარგარეთ აპირებ სწავლის გაგრძელებას, რას ნიშნავს ეს საქართველოსთვის, წარმატებული და უფრო კარგად განათლებული ხელოვანის ყოფილას თუ მის დაკარგვას?

ნინო: სწავლას აუცილებლად გააგრძელებ საზღვარგარეთ, მაგრამ არსად დარჩენას არ ვაპირებ. აუცილებლად დავბრუნდები საქართველოში, რომ ჩემი აქ მიღებული გამოცდილება მას მოვანხმარო.

— რისი სწავლა ან გაკეთება შეიძლება საზღვარგარეთ ისეთის, რასაც საქართველოში ვერ გააკეთებ და ისწავლი? ანუ რატომ გინდათ საზღვარგარეთ სწავლა აუცილებლად?

ნინო: ტექნიკურად აქ უფრო დახვეწილები არიან, ვიდრე ჩვენთან. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ ჩვენ ამის უნარი არ გვაქვს. აქ უბრალოდ მეტი საშუალებაა ამ თვალსაზრისით, თორემ დარწმუნებული ვარ ამის გაკეთება საქართველოში, ალბათ, ბევრად უკეთესადაც შეიძლება. თუ რამეს ღირებულს აკეთებ ყველგან შეგიძლია გააკეთო, საქართველოში ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ ცოდნას და ეს ყოველთვის იღებს შედეგს. მაგრამ სხვა ქვეყანაში მიღებული გამოცდილება და ცოდნა ძალიან კარგი საშუალებაა, კარიერის გასაკეთებლად. საინტერესო კიდევ იმიტომაც სხვა ქვეყანაში სასწავლებლად წასვლა, რომ გაიცნო რა ხდება სხვაგან შენს სფეროში და კონტაქტები დაამყარო. თუნდაც გერმანიაში რომ



შუაში: მარიამ გუგუშვილი

იყო და არსად წახვიდე სხვაგან გამოცდილების მისაღებად, ძალიან გაგიჭირდება.

მარიამი: მე ვთვლი, საქართველოში ხელოვნების მიმართ არ არის სერიოზული დამოკიდებულება. უფრო პოლიტიკაა საინტერესო ხალხისთვის. ტელევიზიითაც მთელ საინფორმაციო გადაცემაში 5 წუთს თუ დაუთმობენ ხელოვნებას და ისიც ძალიან ზოგადად. აქ უფრო უყვარს ხალხს ხელოვნება, დაინტერესებულები არიან. თუნდაც ჰიპი, ჩვენს შემოქმედებით ზრდაზე ის უფრო მეტს ფიქრობს ვიდრე ბევრი საქართველოში.

— ამას მძიმე პოლიტიკური და სოციალური ფონი განაპირობებს. თუმცა იმაში უნდა დაგეთანხმო, რომ საჭირო დროს და ყურადღებას ამ თემას ჩვენი მედიაც არ უთმობს. საქართველოში, რამდენად ხშირად ეწეობა ხოლმე მსგავსი ხასიათის კონკურსები?

მარიამი: სტუდენტებისთვის მსგავსი რამ არ კეთდება. ჩამოყალიბებული მხატვრებისთვის კი. ერთადერთი სადაც შეგვიძლია ნამუშევრები გამოფინოთ, აკადემიის დარბაზია. ცისფერი გალერია გვქონდა, რომელიც შეიძლება ითქვას აღარ გვაქვს. საქართველოში რომ მსგავსი გამოფენა გააკეთო ნახატებს არაფერს იყიდის, გერმანიაში პირიქით. აქ რომ რამეს დახატავს სტუდენტი აქებენ, მის ნახატს ყიდულობენ და ამით მოტივაციას უმაღლებენ. საქართველოში იმაზე ბევრად უკეთესიც რომ დახატო ვიდრე აქ, ყურადღებას არ მოგაქცევენ. სტუდენტური ნამუშევრები იქ არაფერს აინტერესებს. შენს ნამუშევრებს მხოლოდ მაშინ იყიდონ თუ უკვე ცნობილი მხატვარი ხარ.

— წარმატებებს გისურვებთ!

თინათინ ჩითინაშვილი

საქართველოს გერმანული კოლონიები



გერმანულ კოლონისტთა თემი მე-19 მე-20 საუკუნეების საქართველოს საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე შეძლებული, მონოლითური და საინტერესო ნაწილია. გერმანული თემის სიძლიერე სამ ძირითად საფუძველს ეყრდნობოდა: ეკლესიას, სკოლას და საზოგადოებრივ გაერთიანებებს.

ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების წარმოშობა

მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის სამხრეთ გერმანიიდან, ვიურტემბერგიდან, ადგილობრივ მოსახლეობის- შვაბების ნაწილი გადმოსახლდა ამიერკავკასიაში. ისინი კომპაქტურად დასახლდნენ საქართველოსა და აზერბაიჯანში. მათი დასახლებები გერმანული კოლონიების სახელითაა ცნობილი. შვაბების ჩამოსახლების ძირითადი მიზეზი ვიურტემბერგის იმჟამინდელი რთული პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა იყო. ნაპოლეონის შემდგომი ევროპის სირთულეებმა და უმოსავლო წლებმა აიძულა სამხრეთ გერმანიის მოსახლეობის ერთი ნაწილი აღმოსვლეთისაკენ დაძრულიყო. ამითი ისინი თავსარიდებდნენ ჯარში საყოველთაო გაწვევასაც. გერმანელები ამიერკავკასიის ნაყოფიერ მიწებს მოუხიბლავს. მნიშვნელოვანია აგრეთვე რელიგიური მოტივიც: ვიურტემბერგელ ლუთერანთა ერთ ჯგუფს სჯეროდა, რომ ახლოვდებოდა ქრისტეს მეორედ მოვლინება და ისინი იერუსალიმისაკენ დაიძვრნენ. ერთი ვერსიით, საქართველოში ჩასახლებაზე მათ

იმიტომ შეაჩერეს არჩევანი, რომ საქართველო მთელ მაშინდელ რუსეთის იმპერიაში ტერიტორიულად ყველაზე ახლოს იყო იერუსალიმთან. მეორე ვერსიით, მათ გზაში შეცვალეს გეგმები და სამხრეთ საქართველოში დასახლება გადაწყვიტეს.

რუსეთის იმპერიის იმჟამინდელ მმართველობას ხელს აძლევდა მუყაითობითა და მომჭირნეობით გამორჩეული გერმანელების ჩასახლება და მაღალი კულტურის მეურნეობის გამართვა ოდესღაც განვითარებულ და იმ დროისათვის ადგილობრივი მოსახლეობისგან თითქმის დაცლილ, გაუდაბურებულ აგრარულ მხარეში.

გერმანელებმა ადგილობრივი ადმინისტრაციის დახმარებით რვა კოლონია შექმნეს საქართველოსა და აზერბაიჯანში: მარიენფელდი, ახალი თბილისი (თბილისის გარეუბანში), ალექსანდერდორფი, პეტერსდორფი, ელიზაბეტტალი, ეკატერინენფელდი, ელენდორფი და ანენფელდი (დასახლებულთაგან ბოლო ორი კოლონია მდებარეობდა აზერბაიჯანში, დანარჩენები საქართველოში). ამ კოლონიებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ამიერკავკასიის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

გერმანულ კოლონისტთა ეკონომიკური საქმიანობა

1818 წელს საქართველოში ჩამოსულ გერმანულ კოლონისტთა შორის იყვნენ შემდეგი სპეციალობების წარმომადგენლები: მიწის მუშა, საპნის მკეთებელი,

მეცხვარე, მექოთნე, ფეიქარი, მეკალათე, მევენახე, მეგვარჯილე, მეკასრე, ნემსის მკეთებელი, მეჩექმე, დაბადი, ყასაბი, მელუდე, თერბი, კალატოზი, მეპაურე, მჭედელი, ზეინკალი, მისუსე, მექუდე, მემაუდე, დურგალი, ხურო, მეუნაგირე, მკინძავი, მიწის მზომელი, მელურსმნე, მესაათე, მასწავლებელი, მეთარაღე, ხარატი, მეწინდე, ეტლის მკეთებელი, მეხელთათმანე, მეწისქვილე.

მე-19 საუკუნის 40-60-იან წლებში ქალაქებში მცხოვრები გერმანელები აარსებენ სხვადასხვა პროფესიულ გაერთიანებებს. მაგალითად, შეიქმნა მეფუნთუშეთა ამქარი, მეჩექმეთა ამქარი და სხვა. ამ გაერთიანებებს საკუთარი წესდებები ჰქონდათ. ამქარების მიზანი იყო, თავისი წევრების უფლებებზე ზრუნვა. ხელმძღვანელებად ისინი ირჩეოდნენ მამასახლისებს, ანუ უსტაბაშებს.

მე-19 საუკუნის 90-იან წლებიდან ცალკეული გამდიდრებული კოლონისტები, რომლებმაც მსხვილი კაპიტალისტური ტიპის მეურნეობები შექმნეს, მნიშვნელოვან სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდნენ. ისინი საგრძნობ როლს ასრულებდნენ ამიერკავკასიის ალკოჰოლის, საკომუნიკაციო და სააფთიაქობისთვის. ისეთი სახელები, როგორცაა ზემელი, სიმენსი და ჰუმელი ამიერკავკასიაში მცხოვრებ გერმანულ კოლონისტებთანაა დაკავშირებული. ფორერი, ჰუმელი, კუჩენბახი და სხვები ამიერკავკასიის ბაზარით უკვე აღარ კმაყოფილდებოდნენ და დიდი რაოდენობით გაჰქონდათ თავიანთი ნაწარმი რუსეთსა და სხვა ქვეყანაში. ფორერებმა 1910 წელს რუსეთის შიდა გუბერნიებში და ციმბირში გაიტანეს 450 ათასი ლიტრი ღვინო.

1863 წელს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ მოწყობილ გამოფენაზე ვერცხლის მედლები დაიმსახურეს: იაკობ ბეპლემ ეკატერინენფელდიდან — ხორბლის, კარტოფილსა და ღვინისათვის; მარტინ ვაგნერმა ეკატერინენფელდიდან — ხორბლისათვის, ქრისტინან ერდმანმა ანენფელდიდან — ბრინჯისა და ქუნჯუთისათვის; ჰენრიხ ჰუმელმა ელენენდორფიდან კარგი ხარისხის ხილისათვის; გუსტავ ფივემა — კარტოფილის, ბოსტნეულისა და კარაქისათვის. ქების სიგელები გადაეცათ: იაკობ შმულცეს ელენენდორფიდან — კარტოფილისა და სიმინდისათვის; ალექსანდრე კუჩენბახს — შვეიცარული ყველისა და კარაქისათვის.

ამავე გამოფენაზე ფრიდრიხ ცეიზერმა წარმოადგინა წნების ორიგინალური კონსტრუქცია, რომელმაც დიდი ქება დაიმსახურა.

საქართველოში დღემდე სამაგალითოა მიჩნეული გერმანელი კოლონისტების მიერ გამართული დასახლებები და მეურნეობა. გერმანელმა კოლონისტებმა წარმატებებს არა მხოლოდ შრომის დიდი კულტურისა და მუყაითობის, არამედ თემისა და

კერძო ინტერესების შეხამებით, თემის მხარდაჭერით მიაღწიეს.

უფიქრობ საინტერესო იქნება გერმანული თემის ცხოვრების ზოგიერთი მაგალითის გაცნობა. ამჯერად გვინდა შემოგთავაზოთ სოფელ ეკატერინენფელდის გერმანული თემის ცხოვრებისა და გერმანულ კოლონიებში არსებული გაერთიანებების საქმიანობის რანდენიმე ნიმუში — როგორ ცდილობდა გერმანული თემი ამ გაერთიანებების მეშვეობით საერთო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ინტერესების დაკმაყოფილებას.

ეკატერინენფელი

„სოფელი ოთხგუმბათიანი ეკლესიით შორიდანვე მოჩანდა“ — ფრიდრიხ შრენგი, ელიზაბეტ ტალის პასტორი.

ეკატერინენფელი ერთ-ერთი კოლონიანთაგანია, რომელიც ლუთერანმა გერმანელებმა შექმნეს საქართველოში. თბილისიდან სამხრეთ დასავლეთით 60 ვერსის მოშორებით, მდინარე მაშავერის ხეობაში, ახლანდელი ბოლნისის ტერიტორიაზე მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩამოსახლდა გერმანელთა 116 ოჯახი, რომლებმაც დააარსეს სოფელი ეკატერინენფელი. ამ დროიდან მოყოლებული მე-20 საუკუნის ორმოციან წლებამდე სოფელი სოციალურ და ეკონომიურ აღმავლობას განიცდიდა. სოფელმა დასახლება მიიღო ვიურტემბერგის დედოფლის ეკატერინეს პატივსაცემად. 1930 წელს ჩატარებული აღწერის თანახმად, ეკატერინენფელდში, რომელსაც შემდგომ ლუქსემბურგი ეწოდა, 3500 გერმანელი და 2000 სხვა ეროვნების (ქართველი, თათარი, ებრაელი, სომეხი, რუსი, სპარსი) ადამიანი სახლობდა.

ეკატერინენფელდის გერმანული თემი კარნაკტილად ცხოვრობდა. სხვა ეროვნების მეზობლებთან სოციალური-კულტურული ურთიერთობანაკლებად ჰქონდა. მისუსაფრთხოებასაც ნაკლებად თუ ემუქრებოდა ვინმე.

თემი სამ ძირითად საფუძველს ეყრდნობოდა: ეკლესიას, სკოლას და სხვადასხვა საზოგადოებრივ



გაერთიანებებს. ეკლესია ხალხს სულიერად აერთიანებდა. მღვდელი სოფელში ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. იგი სკოლაში საღმრთო სჯულსაც ასწავლიდა. სკოლა ახალი თაობის განათლებასა და აღზრდაზე ზრუნავდა. ეკატერინენფელდში სკოლის პედაგოგებიც უაღრესად დაფასებული ადამიანები იყვნენ. სწავლა ძირითადად გერმანულ ენაზე მიმდინარეობდა.

მე-19 საუკუნის ბოლოს ამიერკავკასიის სასკოლო ოლქის ზედამხედველმა იმოგზაურა ამ მხარეში და ნახა, რომ გერმანულ სკოლაში არ ისწავლებოდა რუსული ენა. წიგნებიც მხოლოდ გერმანული ჰქონდათ. ამის შემდეგ გერმანელები იძულებული გახდნენ, რომ რუსულის სწავლება შემოეღოთ, შემდეგ კი საერთოდ რუსულ ენაზე სწავლებაზე გადასულიყვნენ.

გერმანული თემი მუყაითი შრომითა და ორგანიზებულობით გამოირჩეოდა. მისი წარმომადგენლები ძირითადად მიწათმოქმედებით, მევენახეობითა და მეცხოველეობით იყვნენ დაკავებულნი. გლეხებს ჰქონდათ კარგად მოვლილი კარმიდამო, სადაც ოჯახისათვის წლიდანწლამდე საკმარისი ხორბალი, ხილი და ბოსტნეული მოჰყავდათ. მოგონებების თანახმად, გერმანელთა სარდაფებში მუდამ ეწყო ოჯახის სამყოფი კარტოფილი, ხილი, ბოსტნეული, ძეხვი და ლორი. შვაბი კოლონისტები შრომისმოყვარეობასთან ერთად მომჭირნეობით იყვნენ განთქმული. ამიტომ მათ ძირითადი საქმის გარდა, ბევრი სხვა საზრუნავი ჰქონდათ. მაგალითად, იმისათვის რომ ფული დაეზოგათ, ტანსაცმელს არ ყიდულობდნენ და თავად იკერავდნენ მას. ასევე თავად აცხობდნენ პურს.

კოლონისტები მძიმე შრომასთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწეოდნენ. ეკატერინენფელდში მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე ბევრი საზოგადოებრივი გაერთიანება არსებობდა. სოფელში ძირითადად სამი ტიპის გაერთიანება იყო: პროფესიული კავშირები (მაგალითად, მევენახეთა გაერთიანება), წვერთა სოციალურ-კულტურული ინტერესების მიხედვით შექმნილი გაერთიანებები (ველოსიპედისტთა კლუბი, თეატრალური დასები, მომღერალთა გუნდები და სხვა) და კავშირები, რომლებიც თემის პრობლემების გადაჭრისათვის ზრუნავდნენ (მეხანძრეთა ბრიგადა). იყო შერეული ტიპის ორგანიზაციებიც, მაგალითად მონადირეთა კავშირის ნადირობის მოყვარულთა კოორდინაციის გარდა, თემის საქონლის ქურდებისაგან დაცვის ფუნქციაც ჰქონდათ აღებული.

კოლონიის ყოველი მოსახლე რომელიმე სათემო გაერთიანებას ეკუთვნოდა, რათა, როგორც ერთ-ერთი კოლონისტის შთამომავალი ამბობს, „ფარას აცდენილ ცხვარს“ არ დამსგავსებოდა. საზოგადოებები

უძღვებოდნენ ეკატერინენფელდის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას. გაერთიანებებს ჰქონდათ წესდება, სიმბოლიკა (ბეჭედი, გერბი), ეთიკის კოდექსი და საქმიანობის პროგრამა. წესდებას კავკასიის მეფისნაცვალმა ამტკიცებდა. წესდება განსაზღვრავდა წევრების უფლება-მოვალეობებს, ხელმძღვანელობის არჩევის, წევრების მიღება-გარიცხვის წესებს. მეფის რუსეთის ხელისუფლება, ადგილობრივი ქართული ორგანიზაციებისაგან განსხვავებით არ ზღუდავდა ეროვნული უმცირესობების საზოგადოებრივ საქმიანობას.

იმხანად ეკატერინენფელდში არსებობდა მევენახეთა კავშირი, მონადირეთა კავშირი, მომღერალთა გუნდი, მუსიკოსთა კავშირი, თეატრის მოყვარულთა წრე, ველოსიპედისტთა კლუბი, მეხანძრეთა მოხალისეობრივი გაერთიანება, ფეხბურთელთა და ხელბურთელთა გუნდები და სხვა გაერთიანებები. ეს სათემო გაერთიანებები იმდენად ძლიერი იყო, რომ მათი დიდი ნაწილი საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოს ოკუპირების შემდეგაც განაგრძობდა ნაყოფიერ მუშაობას ქვეყნის სხვა უფრო მასშტაბური ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლება აუქმებდა ან მნიშვნელოვნად ზღუდავდა.

ეკატერინენფელდის მევენახეთა კავშირი

მევენახეთა კავშირი ეკატერინენფელდში „უნიონ“-ის სახელით იყო ცნობილი. იგი 1908 წელს 40 გლეხმა დააფუძნა. კავშირის დაარსება მევენახეობის განვითარებამ განაპირობა. ინდივიდუალური მეწარმეები დიდ მოსავალს ვერ აუდიოდნენ. საჭირო გახდა ორგანიზაცია, რომელიც იზრუნებდა მევენახეთა ბელზე და უფლებებზე. თავდაპირველად საქმის წარმართვაში სირთულეებიც იყო, მაგრამ მალე გაერთიანებამ შეძლო მევენახეთაგან დიდი რაოდენობის ყურძენი ჩაებარებინა. მევენახეთა კავშირმა ნამდვილ წარმატებას პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მიაღწია. კავშირის წვერთა რაოდენობა



სულ უფრო იზრდებოდა და ძლიერდებოდა. 20-იანი წლების ბოლოს იგი დიდ როლს თამაშობდა რეგიონის ეკონომიკაში.

1930 წლამდე ეკატერინენფელდში ვაზი გაშენებული იყო დაახლოებით 1500 ჰექტარზე. 1 ჰექტარიდან საშუალოდ 20-25 ათასი ლიტრი ღვინო მიიღებოდა. ასე რომ, მთელ ფართობზე მოწეული ყურძნიდან 30-40 მილიონი ლიტრი იწურებოდა.

პირველი მსოფლიო ომის წინ გაერთიანებამ დააარსა სპირტის გამოსახდელი ქარხანა. ამ ქარხანას გამოცდილი სპეციალისტები ხელმძღვანელობდნენ. 30-იანი წლების მონაცემებით, მევენახეთა კავშირს ქონდა 33 შენობა, სადაც 89-დან 140 ადამიანამდე მუშაობდა.

მევენახეები თავისი მოსავლის მეოთხედს „უნიონს“ აბარებდნენ. მევენახეთა კავშირი წურავდა ღვინოს, ასხამდა ბოთლებში და გაჰქონდა გასაყიდად საქართველოს სხვადასხვა ქალაქში და რუსეთში. მიღებული შემოსავალი ხელს უწყობდა კოლონიაში ამ დარგის განვითარებას. ახალგაზრდები მევენახეთა კავშირში ეუფლებოდნენ მევენახეობის საქმეს.

მევენახეთა „უნიონს“ ჰყავდა ფეხბურთის გუნდი, რომელიც კავშირის წევრებისა და მის საწარმოთა თანამშრომლებისაგან შედგებოდა. ფეხბურთი იმ ხანად ეკატერინენფელდში განსაკუთრებით პოპულარული სპორტის სახეობა იყო. ამ გუნდის გარდა სოფელს ჰყავდა კიდევ ოთხი გუნდი.

ეკატერინენფელდის მონადირეთა კავშირი

პირველი მსოფლიო ომისა და ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ხელისუფლებამ მოსახლეობისაგან იარაღის ამოღება დაიწყო. ყველა მოქალაქეს უნდა ჩაებარებინა ომიდან წამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი. კანონის თანახმად, მოქალაქეს შეეძლო ჰქონოდა სანადირო თოფი. მხოლოდ აუცილებელი პირობა იყო, რომ მფლობელი მონადირეთა კავშირის წევრი გამხდარიყო. 1920-იან წლებში ეკატერინენფელდის მონადირეთა კავშირი 140-ზე მეტ წევრს ითვლიდა. კავშირს ჰქონდა მკაცრი წესები, რომელიც ყველა წევრს უნდა დაეცვა. ნადირობის სეზონი იწყებოდა ოქტომბერში, როდესაც იმ წელიწადს დაბადებული ნადირი უკვე წამოზრდილი იყო.

მონადირეები ძირითადად ჯგუფებად ნადირობდნენ კურდღელზე, შველზე, ტახზე, იხვსა და მწყერზე. ნადირობა ხშირ შემთხვევაში წარმატებული იყო. ნადავლის დიდი რაოდენობა, მონადირეთა ოჯახებს წლის უმეტეს თვეებში გარეული ცხოველის ხორციით უზრუნველყოფდა. წარმატებული ნადირობები მუდამ ხალისიანი საღამოებითა და სიმღერებით აღინიშნებოდა.

ნადირობასთან ერთად ეკატერინენფელდში თევზაობაც პოპულარული იყო. თევზის ჭერაც მკაცრად განსაზღვრულ დროს ხდებოდა. ეკატერინენფელდს ჰქონდა ოთხი დიდი სარწყავი არხი, რომელიც ყოველი წლის ბოლოს დასასუფთავებლად იკეტებოდა. ამ დროს ხდებოდა თევზის ჭერა. პატარა თევზებს ყოველთვის უკან მდინარეში უშვებდნენ, რათა მათ გაზრდის შესაძლებლობა ჰქონოდათ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონადირეთა კავშირი, როგორც იარაღის მქონეთა გაერთიანება, სოფლის საქონლის დამცველის ფუნქციასაც ასრულებდა. იმ პერიოდში დიდად იყო გავრცელებული საქონლის ქურდობა. თემის საქონელს ძირითადად მეზობელი სოფლებიდან და რეგიონებიდან შემოსული ქურდები ესხმებოდნენ თავს. ამდენად, მონადირეთა კავშირი იძულებული იყო ერთგვარი სამართალდამცველის ფუნქციაც ეკისრა.

ეკატერინენფელდის მუსიკოსთა და თეატრალთა გაერთიანებები

1898 წელს სოფელში დაარსდა მუსიკოსთა გაერთიანება. ეს კავშირი კოლონიის ზრდასთან ერთად ფართოვდებოდა. 1908 წელს მასში გაერთიანდა სიმებიანი საკრავთა ორკესტრი, მოგვიანებით მას შეუერთდა სასულე ორკესტრი: ახალგაზრდა და ასაკოვანი მუსიკოსები. მე-20 საუკუნის დასაწყისში სოფელში სხვადასხვა ადგილას ხშირად იმართებოდა მუსიკალური ჯგუფების კონკურსები. სკოლებში მუსიკის სწავლებას დიდი ყურადღება ექცეოდა. ახალგაზრდებს ჰქონდათ საშუალება მომღერალთა გუნდში, სიმებიან საკრავთა და სასულე ორკესტრში ევარჯიშათ.

მუსიკოსთა გაერთიანებაში შედიოდა ორი კონკურენტი კაპელა. ერთი იყო ასაკოვანი მუსიკოსთა კაპელა, რომლის ხელმძღვანელი იყო უსტინოვი და მეორე ახალგაზრდა მუსიკოსთა, რომლის დირიჟორი და ხელმძღვანელი იყო ჰუგო ბოსი. სცენაზე გამოსვლის დროს ორივე კაპელა თავგამოდებით ცდილობდა მაყურებლის გულის მოგებას.

ახალგაზრდა მუსიკოსებმა დროთა განმავლობაში დიდი პოპულარობა მოიპოვეს. ისინი თითქმის ყოველ კვირას უკრავდნენ სამუსიკო პავილიონში, სადაც კვირაობით ეკატერინენფელდის მოსახლეობა საცეკვაოდ და დროის გასატარებლად დადიოდა.

სოფელში არსებობდა მომღერალთა გუნდი, რომელსაც როსმანი დირიჟორობდა, ხშირად ამ გუნდს ციგელჰაგელი უძღვებოდა.

ცალკე იყო საეკლესიო გუნდი, რომელსაც ეკატერინენფელდის კულტურულ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ გუნდს პაულ ჰრომერი ხელმძღვანელობდა. იგი საბჭოთა პერიოდში

დააპატიმრეს. საეკლესიო გუნდი გალობდა ყოველ კვირას და სადღესასწაულო დღეებში ღვთისმსახურების დროს და მონაწილეობას იღებდა სამგლოვიარო ცერემონიალებში.


მუსიკასთან ერთად ეკატერინენფელდში დიდი ყურადღება ექცეოდა თეატრალურ წარმოდგენებს. პირველი თეატრალური ჯგუფები სახლებში სანათესაოსათვის წარმოდგენდნენ მცირე დადგმებს. შემდგომში უკვე საჯარო სანახაობები ღია ცის ქვეშ ან სკოლის შენობაში იმართებოდა. მოგვიანებით შეიქმნა თეატრალური წრე, რომელსაც უკვე საკუთარი დარბაზი ჰქონდა და ოიგენ კრომერის ხელმძღვანელობით უკვე ნამდვილი სპექტაკლები დადგა, მათ შორის შილერის „ყაჩაღებიც“.

საერთოდ ეკატერინენფელდში აქტიური კულტურული ცხოვრება იყო. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სოფელში იყო კინო, ტანვარჯიშის დარბაზი, სტადიონი, მხატვრული კითხვის წრე. ძალიან პოპულარული იყო სპორტული შეჯიბრებები ფეხბურთსა და ხელბურთში. სოფელში გაზაფხულიდან შემოდგომამდე ტარდებოდა მხიარული საცეკვაო და მუსიკალური საღამოები.

ეკატერინენფელდს ჰქონდა საკუთარი გაზეთი, რომელიც ყოველ კვირას გამოდიოდა.

სახანძრო ბრიგადა

გერმანულ თემს ჰყავდა სახანძრო ბრიგადა, რომელშიც 40 მოხალისე იყო გაერთიანებული. ბრიგადა დაბინავებული იყო სკოლის შენობაში. თემმა მათთვის შეიძინა ორი წყლის საქაჩი მანქანა, წყალ მზიდები, დამცავი უნიფორმები, აირ-წინაღები. ბრიგადას საკუთარი სიმბოლიკაც ჰქონდა, რომელსაც საბჭოთა პერიოდში მოსახლელად ჩაქუჩი და ნამგალიც მიუმატეს.



ბრიგადა მუდმივად ვარჯიშობდა ადგილობრივ სტადიონზე. სარგებლობდა სოფლის ოთხიდან ერთ-ერთი საირიგაციო არხის წყლით. მუხანძრეებს დაწესებული ჰქონდათ მუდმივი მორიგეობა. განგაშის ნიშანი იყო საეკლესიო ზარების რეკვა.

ეკატერინენფელდის ველოსიპედისტთა კლუბი

1930 წელს ეკატერინენფელდში საკუთარი ველოსიპედის მქონე ადამიანებმა დააარსეს ველოსიპედისტთა კლუბი. 1936 წელს ეკატერინენფელდიდან სამი ველოსიპედისტი გაემგზავრა თბილისში რუსუბლიკის პირველობაში მონაწილეობის მისაღებად. ესენი იყვნენ არნოლდ ციგენჰაგელი, ფრინც ფრიორინგერი და ერნსტ ალმენდინგერი. თუმცა, საბოლოოდ ჩემპიონატში მონაწილეობა მათ ვერ მიიღეს, როგორც თავად კოლონიისტები ეჭვობდნენ, მათი გერმანელობის გამო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ნიკა გოგიაშვილი



ჩვენი ჟურნალი აგვიძღვრს ჟურნალისტთა ქმლის გაზაბრძოლებას და ელის ჩველა დაინტერესებული პირის გამოხედავას საზოგადოებრივ სანქსიოებზე ჟურნალთან თანამშრომლობის კუთხით.

დაგვიკავშირდით:

qartuli@satvistomo.de



ქართული გერმანია



წინამდებარე სტატიები წარმოადგენენ მასალას ლეგიონისთვის, რომელშიც თავმოყრილი იქნება ცნობები გერმანიაში სხვადასხვა დროს მოღვაწე ქართველებზე და მათ საქმიანობაზე.

თამარ მკვდილიძე,
ქ. ფულდა

ORDEN DER HEILIGEN TAMARA (წმინდა თამარ მეფის ორდენი) — დაფუძნებულია 1915 წ. საქართველოს ემიგრანტულ მთავრობის მიერ ბერლინში. დაჯილდოვება ხდებოდა 1916-1918 წწ. ჯილდოდებოდნენ გერმანიის არმიის ქართული ლეგიონის მეომრები. ორდენს ჰქონდა სამი ხარისხი: 1-ლი ხარისხის თეთრი ან ლურჯი ფერის მინანქრით, მე-2 — შავი ფერის მინანქრით ორდენის შუაგულში, მე-3 კი იყო უმინანქრო. ორდენის ბაფთი იყო მუქი წითელი ფერის შავი გასწვრივი პატარა ხაზებით. ორდენით დაჯილდოვებული იყო გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი საქართველოში ფრიდრიხ შულენბურგი.



წმინდა თამარ მეფის I ხარისხის ორდენი



წმინდა თამარ მეფის II ხარისხის ორდენი



წმინდა თამარ მეფის III ხარისხის ორდენი



თამარ მეფის ორდენის ბაფთი



წმინდა თამარ მეფის ორდენით დაჯილდოვების საბუთი, გაცემული საქართველოს სამხედრო სამინისტროს მიერ 1918 წლის 13 დეკემბერს (ბრძანება № 5352). ხელს აწერს ვიცე-პოლკოვნიკი ფრაიხერ ფონ დერ გოლტცი

SCHULENBURG FRIEDRICH-WERNER GRAF VON DER (შულენბურგი ფრიდრიხ ვერნერ გრაფი ფონ დერ, 1875-1944 წწ.) — გერმანელი დიპლომატი, სამხედრო მოღვაწე. 1911-1914 წწ. გერმანიის კონსული თბი

ლისში. 1915 წ. თურქეთის ქ. სამსუნში ქართული ლეგიონის შემქმნელი და პირველი მეთაური. ლეგიონი შესდგებოდა ქართველი მოხალისეებისგან, რომლებიც იბრძოდნენ რუსეთის წინააღმდეგ პირველი მსოფლიო ომის დროს. 1918 წ. გერმანული დელეგაციის შემადგენლობაში იღებდა მონაწილეობას მოლაპარაკებებში საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობასთან; შეიტანა დიდი წვლილი ქართულ-გერმანული ხელშეკრულების მომზადებაში, რომლითაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იქნა ცნობილი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. 1918 წ. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი დამოუკიდებელ საქართველოში. დაჯილდოვებულია წმინდა თამარ მეფის ორდენით.



ფრიდრიხ შულენბურგი. თბილისი, 1918 წ. რკინის ჯვრის ორდენის ქვევით მონაწილეობდა თამარ მეფის ორდენი

GEORGISCHE LEGION (ქართული ლეგიონი) — სამხედრო შენაერთი, რომელიც 1915 წ. თურქეთის ქალაქ სამსუნში ჩამოაყალიბა გერმანიის არმიის კაპიტანმა ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგმა. მასში გაერთიანებული იყო 1500 ჯარისკაცი. საწყის ეტაპზე ლეგიონს მეთაურობდა გერმანელი ლეიტენანტი ჰორსტ შლიფაკი, რომელიც შემდგომ შეცვალა უმაღლესი ჩინის ქართველმა ოფიცერმა გენერალ-მაიორმა ლეო კერესელიძემ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ქართული ლეგიონი განლაგებული იყო ტირებოლუს მთის აღმოსავლეთით მდინარე პარშიტის სანაპიროსთან, უშუალოდ შავი ზღვის მახლობლად. გერმანიის მთავრობა მიზნად ისახავდა ლეგიონის საქართველოში გადატყორცნას იმ შემთხვევაში, თუ ანტი-რუსული მოძრაობები საქართველოში გამძაფრდებოდა. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტსა და თურქეთის მთავრობას შორის წამოჭრილი კონფლიქტების გამო 1917 წ. ქართული ლეგიონი დაიშალა. მაგრამ ლეგიონის ქართველმა ოფიცერებმა ლ. კერესელიძის მეთაურობით საფუძველი ჩაუყარეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ჯარის შექმნას.



წმინდა თამარ მეფის ორდენის შუაგული წარწერით «ქართული ლეგიონი 1915»

მე-2 მსოფლიო ომის დროს ქართული ლეგიონი იქნა შექმნილი ხელახლად 1941 წ. პოლონეთის ქალაქ რადომში; მასში ირიცხებოდა 12000 მეომარი, განაწილებული 12 ბატალიონში. ლეგიონს მეთაურობდა გენერალ-მაიორი შალვა მაღლაკელიძე, თბილისის გენერალ-გუბერნატორი 1919-1920 წწ. ქართული ლეგიონის გარდა ქართველები იბრძოდნენ ვერმანის სხვა ნაწილებში (განსაკუთრებული შენაერთი „ბერგმანი“, ქართული SS ჯგუფი მიხეილ-ფრიდონ წულუკიძის მეთაურობით, დივერსიული ჯგუფები და ა. შ.); ვერმანის ქართველი მეომრების საერთო რაოდენობა — 30000.



ქართული ლეგიონის ოცხთავი. 1942 წ.

KOMITEE FÜR DIE UNABHÄNGIGKEIT GEORGIENS (საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი) — პოლიტიკური გაერთიანება, შექმნილი 1914 წ. გერმანიაში ქართველი ემიგრანტების და სტუდენტების მიერ, რომელიც ისახავდა მიზნად რუსული ბატონობის მოსპობას და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას; კომიტეტის პირველი თავჯდომარე პეტრე სურგულაძე, შემდეგ მიხეილ წერეთელი; კომიტეტის წევრები იყვნენ თავადი გიორგი მაჩაბელი, ლეო კერესელიძე, გიორგი კერესელიძე, მელიტონ ქარცივაძე; კომიტეტს აფინანსებდა გერმანიის გენერალური შტაბი; კომიტეტის განყოფილებები არსებობდა ავსტრო-უნგრეთში და თურქეთში; ომის დროს კომიტეტის შტაბ-ბინა მდებარეობდა თურქეთის ქალაქ სამსუნში, შემდეგ კი გადავიდა გირესუნში; 1915 წ. კომიტეტმა მიიღო მონაწილეობა ქართული ლეგიონის შექმნაში, რომლის მეთაურად დაინიშნა გენერალ-მაიორი ლეო კერესელიძე.

ქართული სპორტის ქომაგთა კლუბის დაარსება მიზნების

სპორტი ქართველებისათვის მარტო გართობა არაა, რასაც ბოლო დროს ხშირად მოსმენილი ისეთი პარადოქსული მცნებებიც ადასტურებენ, როგორცაა, „პოლიტიკური მატჩი“, „გაყიდული თამაში“ და ასე შემდეგ... ფეხბურთში რომ არ გვიმართლებს ისევ ძველი ლოგიკით, რას ვიზამთ, „ბურთი მრგვალია“ – თი ჯერ კიდევ კარგად აიხსნება. ამაში უნდა იყოს კიდევ სიმართლის მარცვალი. ფაქტია, რაგბის ოვალური ბურთი გაცილებით კარგად თვინიერდება ქართველების ხელებსა თუ ფეხებში ვიდრე ფეხბურთის მრგვალი ბურთი. ქართულ სპორტს ყველაზე ნაკლებად რაც დაქუჩუნება, ქართული სპორტის გულშემატკივარია, რომელიც მოგებულ და წაგებულ გუნდს ერთნაირი ემოციით ხვდება და აცილებს საქართველოში თუ მის საზღვრებს გარეთ.

ქართული სპორტის ქომაგებს გერმანიის სხვადასხვა ქალაქებიდან არ დაუტოვებიათ ბოლო წლების განმავლობაში იტალიაში, გერმანიაში თუ ავსტრიაში გამართული არცერთი საფეხბურთო და რაგბის შეხვედრა. საქართველოს დროშებით, „ჩემი ხატია სამშობლოთი“ და დიდი ენთუზიაზმით ისინი ყოველთვის ცდილობდნენ მხარდაჭერა გამოეხატად ქართველი სპორტსმენებისთვის. ქომაგთა კლუბის დაარსებაც, ალბათ, აუცილებლობა უფრო იყო, ვიდრე შემთხვევითობა. სახელზე და ლოგოზე დიდ ხანს ფიქრობდნენ კლუბის დაარსების ორგანიზატორები. სახელზე „ივერიელი“ ყველა ადვილად შეთანხმდა, ლოგოზე დატანილი ლოკოკინა კი სერიოზული დაფიქრების მიზეზი გახდა. „ჩვენ ფეხბურთს, ამის ტემპები აღარ ეჭირვებაო“. – ამბობდნენ ქართული სპორტის გულდამძიმებული გულშემატკივრები. „პოლიტიკურ მატჩზე“ რა გითხრათ, მაგრამ საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისთვის სპორტი, რომ მხოლოდ სპორტი არაა და რაღაც უფრო მეტს, ნაციონალურს და პატრიოტულს აღვიძებს, ისეთმა გულშემატკივრებმაც არაერთხელ გამოვცადეთ საკუთარ თავზე, ვისთვისაც სპორტის ელემენტარული წესებიც კი ამოუცნობი სამყაროს ნაწილია.

ბევრი იფიქრეს თუ ცოტა ქართული სპორტის გულშემატკივრებმა მიუნხენში, ქართული სპორტის ქომაგთა კლუბის (ქომაგთა და არა ფანკლუბის) შექმნა გადაწყვიტეს. შეხვედრა 17 მაისს, საზეიმო ვითარებაში შედგა. კლუბის დაარსების და შეხვედრის ორგანიზება გერმანიის ქართული სათვისტომოს

მხარდაჭერით მოხდა. კლუბის დაარსების ორგანიზატორებმა დამსწრე საზოგადოებას, მათი სამომავლო გეგმები გააცნეს, რომელთაგან ერთ-ერთი პირველი, რა თქმა უნდა ქართველი სპორტსმენების საგულშემატკივროდ გერმანიაში და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გამართული თამაშებზე წასვლა იქნება. მეორე, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი თუ საინტერესო გეგმა ქართველ სპორტსმენებთან შეხვედრების მოწყობა და მათთან დაახლოებაა. კლუბის ფარგლებში ასევე შეიქმნება მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა სამოყვარულო ტურნირებზე. ქომაგთა კლუბი იზრუნებს ასევე იმაზე, რომ სპორტის გულშემატკივრებს სატელიტის მეშვეობით გადაცემული ტურნირების ნახვის საშუალება მისცეს. „ივერიელი“ გერმანიის ქართული სათვისტომოს, სპორტული განყოფილებად გამოცხადდა.

შეხვედრა, რომელსაც ქართული სპორტის 60 გულშემატკივარი ესწრებოდა, ტრაციციულად საქართველოს ჰიმნით დაიწყო. მოწვეულ საპატიო სტუმართა შორის იყო „მიუნხენის 1860“ ის მცველი მათე ღვინიანიძე. ქართული სპორტის ბედით დაინტერესებულმა გულშემატკივრებმა მათეს მთელი ქართული ფეხბურთის ცოდვა-ბრალი მოჰკითხეს და მისი სამომავლო გეგმებითაც დაინტერესდნენ. გათავაზობთ კითხვა-პასუხის მხოლოდ მცირე ნაწილს:

- მათე, არის თუ არა შენთვის როგორც ფეხბურთელისთვის დამატებითი სტიმული ასეთი სახის ქომაგთა კლუბის შექმნა?

- რა თქმა უნდა, ეს ძალიან დიდი სტიმულია. საქართველოს მოცილებული ვარ, ჩემთვის უფრო ძნელია აქ თამაში. მე მომწონს ეს პროექტი და ვთვლი, რომ სადაც კი ჩვენი ფეხბურთელები არიან, ყველგან კარგი იქნება მსგავსი კლუბების შექმნა. ძალიან მიხარია აქ ყოფნა. ასე მგონია საქართველოში ვარ.

- საფეხბურთო სეზონი დამთავრდა, როგორი იყო შენი სპორტული კარიერისთვის ეს სეზონი?

- ჩემთვის პირველი წრე ძალიან წარმატებული იყო. მეორე ბუნდესლიგაში საუკეთესო მცველად მაღიარეს, რადგან ყველაზე ცოტა ბურთი ჩვენმა გუნდმა გაუშვა. თავს არ ვიქებ, მაგრამ ვთვლი, რომ ეს დიდი მიღწევაა. მეორე წრეში ტრამვის გამო ვერ შევძელი სამწუხაროდ მონაწილეობის მიღება. გუნდის შედეგით ამ სეზონზე კმაყოფილი არ ვარ. დღესაც ძალიან ვნერვიულობდი თამაშის დროს, იყო



--მხოლოდ ბოდიშს!

- რა უნდა გაკეთდეს, რომ ქართულ ფეხბურთი ფეხზე დადგეს და წინსვლის შანსი მიეცეს?

- საქართველოს ნაკრებს კარგი ფეხბურთელები ჰყავს. რატომ არაა ქართული ფეხბურთი ამის მიუხედავად წარმატებულები, ამაზე ბევრი მოსაზრება არსებობს. ზოგი ფიქრობს მწვრთნელია ამაში დანმაშავე, ზოგი თვლის რომ ფეხბურთელები არ ინდომებენ. ის აზრი, რომ ვინმე ტრამვის მიღების შიშით არ თამაშობს თავგანწირვით, არაა მართალი. ყველა მონდომებულები გავდივართ სტადიონზე და ვცდილობთ ბოლომდე დაუინარჯოთ. მთელი

საშიშროება, რომ გუნდი ქვემოთ დაშვებულიყო.

- ასე სუსტია „მიუნხენი 1860“, რომ ლიგაში დარჩენა გაუჭირდა? თვლი თუ არა რომ დამატებითი ძალები გჭირდებათ?

- მე ვფიქრობ ყველა ფაზაში გვჭირდება თითო ფეხბურთელი, რომ გაგძლიერდეთ და პირველ ლიგაში გადავიდეთ.

- ახალი მწვრთნელი დაგენიშნათ, რას იტყვოდა ამაზე?

- რა უნდა ვთქვა, მეუბნება კლიჩკოს გავხარო, გიჟია. ვგეგმარ მე ახლა კლიჩკოს? მეორე მწვრთნელმა ქართული გინებები იცის და ხანდახან როცა ბრაზდება ქართულად იგინება. მეტს ვერაფერს ვიტყვი მათზე.

- თუ არ ვცდები, ნახევარმცველადც გაქვს ნათამაშები? დაცვაში, როგორც ვიცი, არის დიდი კონკურენცია, სად შეძლებდი კიდევ თამაშს თუ ამის საჭიროება იქნებოდა?

- ჩემს თავს ცენტრალურ მცველად ვხედავ. ბევრი ფეხბურთელი გამოირჩევა ტექნიკით, სისწრაფით და ასე შემდეგ. მე ქართული სახიათის გამო, უფრო ბრძოლას ვანიჭებ უპირატესობას. ზუსტად ამიტომ შუა მცველია ჩემი ამპლუა.

- ტრადიციულად ცნობილია „მიუნხენის ბაიერნის“ და „1860“- ის ქიშობა? როგორ გამოინახტება ეს ფეხბურთელების ერთმანეთთან ურთიერთობაში?

- ჩვენ ხშირად ვხვდებით ერთმანეთს დისკოთეკაზე და გართობის სხვა ადგილებში. კარგად ვიცნობთ და ვესალმებით ერთმანეთს. მე არ მაქვს მათთან არანაირი პრობლემა.

- უკვე მერამდენედ გაუცრუა ქართულმა ნაკრებმა იმედი ქართველ მაყურებელს. ამაზე რას იტყვოდა?

საქართველოს ნაკრების დაჩემი მიზანიცაა მათ შორის, რომ თამაშმა კარგად ჩაიაროს, რომ გულშემატკივრები გავხაროთ. ამისთვის საქართველოს ფედერაციამ და საქართველოს სათავეში მდგომებმაც უნდა გაიღონ მაქსიმუმი. ძალიან ბევრი რამაა გასაკეთებელი.

- ხშირად ისმის ქართველი გულშემატკივრებისაგან, რომ 90-იანი წლების შემდეგ ძლიერი ფეხბურთელები არ გვყოლია. პრობლემა გვაქვს ნიჭიერი ფეხბურთელების? თუ ერთსულოვნება გაკლიათ?

- მე ერთსულოვნების არქონა არასდროს მიგრძენია - „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“. არც ის მგონია რომ კარგი ფეხბურთელების ნაკლებობა გვაქვს.

- უცხოელ მწვრთნელებს რაც შეეხება, საჭიროა ამდენი ფულის გადაყრა, არ გვყავს ქართველებს მწვრთნელები?

- ყოფილი ფეხბურთელებიდან, ვისაც დიდი ფეხბურთი აქვს ნათამაშები ყველამ იცის, როგორ უნდა მწვრთნელობა. ამაზე მეტის არაფერის თქმა არ შემიძლია, მე უნდა ვითამაშო ესაა ჩემი საქმე, სხვა დანარჩენი არა.

- ამდენი ახალგაზრდა ფეხბურთელი გადის საზღვრებს გარეთ, არ თვლი, რომ უკეთესი იქნებოდა მათი საქართველოში დარჩენა და ჩამოყალიბება?

- ჩემს მაგალითზე გეტყვით და დასკვნა თვითონ გააკეთეთ. 15 წლის როცა ვიყავი, დინამომ გამოთქვა ჩემი შექმნის სურვილი. შემომთავაზეს 5 წლიანი კონტრაქტი თვეში 50 ლარით. რა თქმა უნდა ასეთ კონტრაქტზე ხელი არ მოვაწერე. დავბრუნდი ჩემს ნორჩ დინამოში, სადაც მანამდე ვითამაშობდი. 17 წლის ვიყავი, როცა ისევ შემომთავაზეს დინამოში 5 წლიანი კონტრაქტი და ახლა უკვე 400 ლარი

თვეში. ისევ უარი ვთქვი. 2 თვეში ისევ უნდოდათ ჩემი შექმნა, და ახლა უკვე მზად იყვნენ დიდი ფული გადაეხადათ, რატომ თავიდანვე არა, თუ კი იყო ამის შესაძლებლობა? ალბათ, ვიცით რატომაც. შემდეგ ვახტანგ კოპალეიშვილი და საშა ჩივაძე დამეხმარნენ, რომ მოსკოვში წავსულიყავი. ამის შემდეგ კი „მიუნხენის 1860“-ში აღმოჩნდი. ყველა ფეხბურთელისთვის, ვისაც წარმატების მიღწევა სურს, ევროპა ყველაზე კარგი მანსიაა.

- სხვა რა გუნდებიდან გქონდა შემოთავაზება?

- გერმანიაში გუნდებს ვერ ვიტყვი, რადგან ეს პროცესი კიდევ გრძელდება, შეიძლება ისევ მოხდეს ისე, რომ რომელიმე გუნდმა მიყიდოს. მოსკოვიდან იყო ბევრი შემოთავაზება და გერმანიის პირველი ლიგის გუნდის. მენეჯერმა სტეფენმა ერთი წელი კიდევ დარჩი და მერე გაგიშვებო. ენახოთ...

- კარიერას რაც შეეხება რა გეგმები გაქვს?

- მინდა რომ პირველი ბუნდეს ლიგაში გადავიდე.

- გყავს თუ არა შენი რჩეული გუნდი?

(მათემ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ორჯერ აარიდა თავი, რამაც მისი და აიძულა ძმისთვის დახმარება გაეწია)

ლიკა ღვინიაძე: პატარები რომ ვიყავით, მათეს რაღაც „შორტები“ ეცვა, გვერდზე შავი ემბლეით და წარწერით. ვკითხე რა არის, ეს რას გავს, რა გაცვია მეთქი? – გოგო აზრზე მოდი, „ბორუსიის“

შორტიაო. უფრო პატარა, რომ იყო და კითხავდნენ სად გინდა ითამაშო, გორის „დილაშიო“ ამბობდა ხოლმე. (საყოველთაო სიცილს აქ მათუც შეუერთდა)

- რჩეული გუნდების შესახებ გავიგეთ, ახლა ის გვითხარი ვინაა შენი რჩეული ფეხბურთელი?

- მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს შორის ასაკში დიდი სხვაობა არ არის, მაღხაზ ასათიანი ჩემთვის ძალიან დიდი და მისაბაძი ფეხბურთელია. მას ახლა ტრამპა აქვს, ვუსურვებ მალე ფორმაში ჩადგომას.

- და მაინც რომელ გუნდში ისურვებდი თამაშს?

- სადაც ყველაზე მეტი ხელფასი მექნება იქ. (იცინის)

შეხვედრის ბოლოს მათე ღვინიაძე ქართული სპორტის ქომაგთა კლუბის „ივერიელის“ საპატიო პრეზიდენტად დასახელდა და საგანგებოდ კლუბის გახსნისთვის მომზადებული ტორტის გაჭრაც მოუწია, რომელზეც წითელი ასოებით „ქომაგთა კლუბი“ ეწერა. შეხვედრის ოფიციალური ნაწილი მრავალჯამიერით დამთავრდა და არაოფიციალურ და არანაკლებად სასიამოვნო ნაწილში გადავიდა, იმაში, რასაც ქართველები „დროს ტარებას“ და „ცეკვა-თამაშს“ ვეძახით. პირველი ჭიქა, რა თქმა უნდა ქართული სპორტის წინსვლისა და წარმატებებისა იყო.

მოამზადა
თინათინ ჩითინაშვილმა

წერილი ჩელაქსიას

ძვირფასო მკითხველო,

ცოტა ხნის წინათ რუდაქციაში ქალბატონი თამარ ხუციშვილის წერილი მოვიდა. ქალბატონისა, რომელიც როგორც თვითონ გვწერს „მხოლოდ სამართლიანობას ეძებს!“, სქელტანიან წერილში ორი შვილის დედა თავის გასაჭირს გვიყვება და უნდა რაც შეიძლება ბევრმა აღადმიანმა, ბევრმა დედამ გაიგოს მისი ამბავი.

აქ ვთავაზობთ აღნიშნული წერილის ძალზედ შემოკლებულ მიმოხილვას.

დღეს ქალბატონი თამარი გერმანიიდან აღევნებს თვალს საქართველოში ბავშვთა სახლში მყოფი შვილის, „ექიმებისაგან დასწავლულ“ 3 წლის ანას ჯანმრთელობის მდგომარეობას. აქ არის, რადგანაც თავის ქვეყანაში არ დაედგომებოდა, „ბევრი გაჭირვება გადამიტანია, მაგრამ არ გაუქცეულვარ საქართველოდან, ვიდრე თვითონ არ გამომაძვესო“

– წერს იგი. ქალბატონი თამარის ტრაგედია 2006 წლის 15 ივნისს დაიწყო, როდესაც ახლადდაბადებულ ანას ექიმების თქმით ფილტვები არ გაეხსნა და იგი ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იქნა მიერთებული. ქ. თბილისის ცნობილ ბავშვთა სამედიცინო ცენტრებში რამოდენიმე არასწორი დიაგნოზის დასმის შემდეგ, ექიმებმა ქირურგიული ჩარევისა და ბავშვის საზღვარგარეთ მკურნალობის აუცილებლობა დაინახეს. გაჭირვებაში მყოფმა დედამ ტელევიზიით მიმართა ქართულ საზოგადოებას და დახმარება ითხოვა. გამოხმაურება მეორე დღესვე არც მეტი არც ნაკლები, პრეზიდენტის ადმინისტრაციისაგან მიიღო, პრეზიდენტს თავის თავზე აუღია პატარა ანას დაფინანსება. ადმინისტრაციის თანამშრომლები მათ ჯანდაცვის სამინისტროს დახმარებით სათანადო კლინიკის მოძებნასაც დაპირდნენ, რაც ცხრა თვე გაგრძელდა (ბავშვის მდგომარეობა კი ამასობაში უარესდებოდა). ძნელი იყო კლინიკის შერჩევა, როდესაც დიაგნოზი გაურკვეველი იყო. მოწვევა

ქ. ბერლინის კლინიკიდან მოვიდა, მკურნალობის თანხა 150 000 ევროს შეადგენდა. საგონებელში ჩაურდნილი დედისათვის უკვე გასაგები იყო, რომ საქართველო ამხელა თანხას ერთ პაციენტზე ვერ გაიღებდა, პრეზიდენტის ადმინისტრაცია მას მხოლოდ 10 000 ევროს ჰპირდებოდა. გაიგეს რა ამ პროცესში ჩართულმა ქართველმა კლინიკებმა დაფინანსების შესახებ, შესაბამისი ექიმებიც აღმოაჩნდათ და ანაზე „ცდის სახით“ ოპერაციის ჩატარების უფლებას ითხოვდნენ. ხელახალი გამოკვლევების დროს ისიც გამჟღავნდა, რომ ხორხზე გადახვეული აპკი, რომელიც ანას სუნთქვაში ხელს უშლიდა, პირველადი გამოკვლევების დროს ექიმების შეცდომით იქნა დაზიანებული. ქალბატონი თამარი გულის ტკივილით იხსენებს ექიმების სიტყვებს: „ამ ბავშვს მაინც არაფერი ეშველება და პრეზიდენტმა ჩვენ მოგვცეს ეს ფული ჯობიაო“, „თავის წერილში იგი აღწერს ექიმების უყურადღებობით გამოწვეულ პაციენტების ჯოჯოხეთურ მდგომარეობას, რომელთა აქ მოთხრობითაც არ გვინდა დაფიქსირებულ ჩვენი მკითხველი. იაშვილის კლინიკაში ანა მივლინებით საქართველოში მყოფმა გერმანელმა ექიმმა მოინახულა და ოჯახს მის გერმანიაში წამოყვანას დაჰპირდა. ლაიფციგის კლინიკამ მისი შუამდგომლობით მკურნალობის თანხა 3.270 ევრომდე შეამცირა და 9 თვის ანა გერმანიაში სამკურნალოდ მოიწვია.“

გამოკვლევების შედეგად გერმანელმა ექიმებმა ქირურგიული ჩარევის აუცილებლობა გამორიცხეს. მათივე თქმით ანას ყელში მხოლოდ „თანდაყოლილი ღორწო“ ჰქონდა, რომელიც ყველა ჩვილ ბავშვს აქვს... ექიმების უყურადღებობამ და უეცრობამ ანას ჯანმრთელობა სრულიად გაუნადგურა; თვეების მანძილზე კრუნჩხვებმა და მცდარი დიაგნოზების შედეგად მიწოდებულმა მედიკამენტებმა ცენტრალური ნერვული სისტემა დაუზიანა და დღეს ანა ინვალიდია!“ - გვიყვება ქალბატონი თამარი. კლინიკამ პირველ რიგში იმაზე იზრუნა, რომ ანასთვის კვების ზონდი მოეხსნა და საკვების პირის ღრუდან მიწოდება დააწყებინა. საქართველოდან გადმორიცხული პირველადი თანხა მაღევე დაიხარჯა, ანას კი ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდებოდა. პატარა პაციენტს ლაიფციგის კლინიკა 2 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით მკურნალობდა და ექიმების თქმით გარკვეული დროის შემდეგ შესაძლებელი იყო ტრანსეოსტომის მოხსნა, რაც მას უკვე თავისით სუნთქვის საშუალებასაც მისცემდა. საბოლოო დიაგნოზად ანას ცერებრალური დამბლა დაუდგინეს. კლინიკამ გარკვეული დროის შემდეგ საქართველოდან შეპირებული სამკურნალო ხარჯების გადმორიცხვა მოითხოვა. ანას დედაც ისევ პრეზიდენტის ადმინისტრაციას დაუკავშირდა,

რომელმაც წამოსვლის წინ დააიმედა, დარჩენილ 7.000 ევროსაც გერმანიაში ყოფნის დროს გადმორიცხავთო. თუმცა ამჯერად ასეთი პასუხი მიიღო: „ეგ 2006 წელში შეგპირდით ახლა კი უკვე 2007-იაო“. ისიც კი ურჩიეს უკან დაბრუნებულიყო საქართველოში, რადგან მისი გერმანიაში ყოფნა ძალიან დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

ლაიფციგის კლინიკას ეხლა მხოლოდ ისღა აინტერესებდა, იყო თუ არა საქართველოში ანას მკურნალობის გაგრძელების შესაძლებლობა და თუ არა, მოეძებნა თუ არა მისთვის გერმანიაში სპონსორი. ქ-ნი თამარის თქმით, საქართველოდან მათ წერილი მიიღეს, რომ საქართველოს სახელმწიფო პასუხისმგებლობას იღებდა პატარა პაციენტის მკურნალობაზე და მათი დაუფინანსებელი მოთხოვნით ანა საქართველოში გადაიყვანეს. დღეს ანას ისევ კათეტერით მიეწოდება საკვები და უკვე 2 წელია პირის ღრუდან წყალიც არ მიუღია. ქალბატონი თამარის თქმით, იგი ქართველმა ექიმებმა მეორედ დააინვალიდეს, რათა საკუთარი დანაშაული დაეფარად. 2007 წლის ნოემბრის დიაგნოზით, ანას ისევ სასწრაფოდ ესაჭიროებოდა საზღვარგარეთ სამკურნალოდ წაყვანა. კლინიკის „მოძებნა“ კი დღემდე გრძელდება.

ანა ბავშვთა სახლსა და რეანიმაციის შორის ზშირად თვეში რამენჯერმეც იცვლის ადგილს. ქ-ნი თამარის თქმით, ანას ბავშვთა სახლში ყოფნა ყოვლად დაუშვებელია, რადგან მათ არ გააჩნიათ არც საჭირო გამოცდილება და არც სამედიცინო საშუალებები ასეთი მძიმე პაციენტის მოსავლელად. თამარ ზუციშვილისთვის ერთადერთი მიზანი ისაა, რომ გამოინახოს კლინიკა გერმანიაში, რომელიც მის შვილს უმკურნალებს. მას სურს ყველას გააგებინოს იმ უსამართლობის შესახებ, რომელმაც მისი ანა სამუდამოდ საწოლს მიაჯაჭვა. უნდა ყველა ქართველ დედას თანადგომა სთხოვოს, რომ ხვალ სხვამ არ გაიზიაროს მისი და ანას ბედი.

გერმანიის ქართული სათვისტომო შეძრწუნებულია პატარა ანას მდგომარეობით (სათვისტომოს თავმჯდომარემ პირადად მოინახულა იგი) და ცდილობს დახმარება გაუწიოს მას და ქალბატონ თამარს ჯერ კლინიკის და შემდეგ კი სპონსორების მოძიებასთან დაკავშირებულ საკითხებში, რაშიც ჯანმრთელობის დაცვისა და დიასპორების სამინისტროებთან თანამშრომლობს და მათი დიდი თანადგომის იმედიც აქვს.





“ პენაშინის ” შემდეგ

გაგრძელება

დასაწყისი მე-2 ნომერში

მერე ჩვენ ის არ გვინახავს. შემდეგ გაირკვა, რომ მტერს მოუკლავს. ღმერთმა გაანათოს მისი სული.

პირველივე ნაბიჯების შემდეგ მანდარინის ტოტები დაგვეყარა თავზე. უკვე ტანკის დამძინებელს შემჩნეული ვყავდით,

მტერი რომ შევაჩერე, უდიდესი სიხარული დამეუფლა, მაგრამ გამახსენდა ცენტრალურ გზასთან იძულებით დატოვებული საგუშაგო, მივხვდი შემდეგი ჩვენ ვიყავით, მაშინ რა ვიცოდი, თურმე ახალდაბის ცენტრში მტრის ტანკები შესულან ცენტრალური გზიდან. ისმოდა გამაყრუებელი ხმები სხვადასხვა ჭურვების, ყუმბარების, ტყვიების. ცეცხლში იყო გახვეული ულამაზესი სოფელი ახალდაბა. ტანკის ხმა სულ უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა, ეტყობა გადასცეს ჩვენი საგუშაგოს კოორდინატები, რადგანაც ცოცხალმა ძალამ ვერ აგვიღო, დიდხანს ლოდინი არ დაგვჭირვებია, ტანკიც გამოჩნდა, ამოვხტი სანგრიდან, სახლის პირველ სართულზე შევევარდი, ფანჯრიდან ავტომატის ჯერი მივაყარე, ტყვიები პურის მარცვლებით გაცვივდა ტანკს, მუხლუხოები დაჯავშნული ჰქონდა, თითქოს ჩვენ გვქონდა რამე მისი მწყობრიდან გამომყვანი. ტანკის ლულა შემოტრიალდა და დავინახე ცეცხლი, გონზე რომ მოუვდი, კვამლში გახვეული ვიყავით. მხოლოდ კარებიდან მოჩანდა დღის სინათლე. ხელების ფათურით გამოვალწიეთ სახლის გარეთ, თურმე მეორე სართულის ფანჯარაში შემოუგდია ჭურვი. სანგარში ჩავხტი. ტანკი იდგა სახლის კუთხეში და ტყვიამფრქვევით ანგრევდა ყველაფერს. თავის აწევა არ შეიძლებოდა. დაურჩით ღვთის ანაბარა, დაილოცა მისი სახელი, ვიღაცამ თქვა, დაუტოვოთ საგუშაგო და ცენტრისკენ წავიდეთო, უკმაყოფილომ შევხედე, მაგრამ მალევე მივხვდი, ტანკის წინააღმდეგ შიშველი ხელებით ომი სისულელე იყო და ტყუილად თავის მოკვლა გამოვიდოდა. დავიძარით ცენტრისკენ. უცებ გონერიმ უარი თქვა ჩვენთან წამოსვლაზე. მე პირადად რამდენჯერმე ვუთხარი ჩვენთან წამოსულიყო, მაგრამ არ დამიჯერა, სხვა მიმართულებით წავიდა. მისი ავტომატი მე დამჩნა, თოფიც სანგარში დატოვა, რადგანაც მისთვის ომი ძალიან უცხო რამ იყო. მას

გაუჩინარდით მანდარინებში, ტყვიების წვიმაში მივბოდით ახალდაბის ცენტრისკენ. ერთი სახლის ეზოში გაფითრებული იდგა ბიძიას ახლო მუზობელი ნოდარი, უიარალოდ. ის აფხაზი იყო, მაგრამ ბავშვობიდან ახალდაბაში იყო გაზრდილი და ომის დროსაც ახალდაბაში იყო. ნოდარიც ჩვენ გამოგვეყა, ახლა უკვე ხუთნი ვიყავით: მე, მამუკა, ვახო, ალიკა და ნოდარი. ცენტრალურ ქუჩას რომ მივუახლოვდით, მაშინ მივხვდით, რომ ახალდაბა მთლიანად დაპყრობილი იყო, რადგანაც აფხაზები და მათი მოკავშირეები თავისუფლად დადიოდნენ ქუჩებში. ჩვენ ერთ სახლში შევჩერდით. გზის მეორე მხარეს იყო ის სახლი, რომელშიც თავშეფარებული იყვნენ ბავშვები, მოხუცები, ქალები და ის უმწეო ადამიანები, რომლებიც ცხოვრებისაგან ისედაც დატანჯულნი იყვნენ.

მამუკამ გზის გადაკვეთა მოინდომა, თქვა, უნდა გადავიდეთ, მე ვუთხარი - მე როგორც ახალდაბაში შემოგვეყვი, ისე იქეთაც გადმოგვეყვი, მაგრამ ეს შეცდომა იქნება, რომელიც ვერ გამოსწორდება-მეთქი. შემდეგ დავწექი მიწაზე და სახლის მთელი წინა ეზო ხოხვით გაუვდი ჭიშკრამდის, თავი გავეყვი და დავინახე ახალდაბის ცენტრალურ გაჩერებაზე ტანკი, ბოვეიკებიც იდგნენ მის ირგვლივ. სროლას აზრი არ ჰქონდა. ახლა მთავარი იყო ალყიდან თავის დაღწევა და შემდეგ ისევ ბრძოლა თანაბარ სიტუაციებში. უკან გაუხოხდი, სახლში რომ შევხოხდი, მამუკას დანახული ვუთხარი, არჩევანის გაკეთება შევთავაზე, თუ გადავიდოდით, ასი პროცენტით გაგვანადგურებდნენ. მე ამისთვისაც მზად ვიყავი, მაგრამ მამუკამ მაშინ დამიჯერა და ლოგიკური გადაწყვეტილება მიიღო, რადგანაც მისი დედა (აწ გარდაცვლილი, ღმერთმა გაანათოს მისი სული, ალბათ, იმ დიდი ტანჯვის შედეგია მისი გარდაცვალების მიზეზი) და მამიდები ყველანი ტყვეობაში იყვნენ.

იმ სახლის უკან, სადაც ჩვენ ვიყავით, არხი იყო გათხრილი და იმ არხში ჩავსაფრდით ხუთივე, გზიდან სულ ათი მეტრი გვაშორებდა. მტრის ბოვეიკები დადიოდნენ თავისუფლად, სროლას აზრი არ ჰქონდა, არც ტყვიები არ გვქონდა საკმარისი და არც გამომწვევის შანსი რჩებოდა გასროლის შემდეგ. ზუსტად არ მახსოვს, რომელმა ერთმა თქვა ჩავბარდეთ, არ მოგვკლავენო, სიცოცხლე ტკბილია, მაგრამ მე ცივი უარი განვაცხადე, თან დავსძინე, სხვის სიცოცხლეში ვერ ჩავერეოდი და ვახოს ვთხოვე, პატარა, ჯერ კიდევ პირტიტველა ვაჟაკს, ხელყუმბარა დამიტოვე, როცა ტყვიები გამითავლება, გავხსნი ხელყუმბარას და ვითომ მეც ვბარდები, ახლოს რომ მივალ, მათაც ავაფეთქებ-მეთქი, ვახომ გაბრაზებულმა შემომხედა, განაწყენებული იყო, არც დაუძალავს, მითხრა, სანამ სისხლის ბოლო წვეთი შემრჩება, არ ჩავბარდებიო, ხელყუმბარის აფეთქება მეც კარგად ვიციო, ბოლიში მოუხნადე და დავინახე, პატარა ბიჭში უკვე დიდი ბუნება ჩაბუდებულიყო. ომმა გამოაჩინა ბოლომდის ხალხის ხასიათი, თუმცა რა არის სიმართლე, ამას მხოლოდ ღმერთი თუ განსჯის.

გადაწყვეტილებისმიღება ურთულესი იყო, დარჩენა არ შეიძლებოდა, რადგან წმენდას დაიწყებდნენ და გენახავდნენ, რაც ნამდვილად სიკვდილი იქნებოდა, წასვლის ინიციატივა რომ გამომიჩინა, გზაში ერთიც რომ დაღუპულიყო, ადრე თუ გვიან იმას იტყოდნენ, რომ არ წამოსულიყვენ, დამე ყველა გამოვიდოდაო, მაგრამ სადამომდის იქ ჩვენ აუცილებლად გენახავდნენ, ამიტომ დროის დაკარგვა არ ღირდა. ჩემი ჩანაფიქრი გავანდე თანამებრძოლებს, ბევრი ვიფიქრეთ, ბევრი გადავხარშეთ და გადავწყვიტეთ გავსულიყავით სასწრაფოდ. ახლა გზას ვინ გაიკვლევდა იმაზე ვიფიქრეთ, მე ახალდაბა ეზო-ეზო არ ვიცოდი და ვთქვი, ორიენტაციას ვინც დაიცავს, წინ ის გახონდეს-მეთქი. ალიკამ აიღო თავის თავზე წინამძღოლობა, მე გადავინაცვლე და ალიკას უკან დავიკავე ადგილი, დავიძარით, ყველა ეზოს ბოლოში გვიწვედა “სეტკის” გაჭრა, რუსული „შტიკნოყით”.

როგორც იქნა, გამოჩნდა ახალდაბის ცენტრალური ქუჩა, მაგრამ წინ იყო ყველაზე რთული მონაკვეთი გასასვლელად, რადგან უკვე ხელისგულივით ჩანდა ის მინდორი, რომელიც უნდა გაგვევლო, მინდვრამდის კი ახალდაბის ორი შიგა ქუჩა იყო გადასარბენი. სიმინდებში ვიყავით გაჩერებული, მახლობლად ძროხების სადგომი იყო, საიდანაც უფრო მოხერხებული იქნებოდა გადარბენა, მოვადპრეთ ერთი ფიცარი სიმინდების მხრიდან და შევძვერეთ. დრო არ ითმენდა, უნდა გადაგვეჭრა გზა, მაგრამ მოპირდაპირე სახლამდე ოცდახუთი-ოცდაათი მეტრი იყო გაშლილი ადგილი, “სეტკასთან” “ბლოკები” იყო დაწყობილი, მისი დახმარებით

ადვილად გადავხტებოდით მოპირდაპირე სახლში. რამდენიმე წუთი ვერ ვბედავდით გადარბენას, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ეს წუთები საბედისწერო გახდებოდა ყველა ჩვენთაგანისთვის. უცებ ბიჭებს ვუთხარი, მე გავდივარ, თუ მესროლეს, მე ცოტა ხანი შევძლებ მათ შეჩერებას, თქვენ კი ისევ სიმინდებში დაბრუნდით და იქედან სცადეთ ბელი-მეთქი. ეს ვთქვი და მოვწყდი ადგილიდან, ყოველ წამს ველოდი ტყვიას, ღმერთმა აქაც დამიფარა, “ბლოკებზე” შევხტი და “სეტკის” იქით აღმოჩნდი. ვინ იყო შემდეგი, ვინც გაბედა გამოქცევა, ეს ნამდვილად არ მახსოვს, მაგრამ ღმერთმა ყველა დაგვიფარა. ბოლოს, მამუკა რომ გადმობრბოდა, “ბლოკებიდან” გადმოხტომდისა ავტომატის “რემენ” გადმოედო სეტკას. რამდენიმე წამი დასჭირდა მის გამოსხნას. ეს იყო ძალიან მტკივნეული, მე ხომ პირველ რიგში მამუკას და მისი ოჯახისათვის ვიყავი ახალდაბაში შესული და მამუკას დაღუპვას, ჩემი სიკვდილი მერჩინა, რადგანაც მის ოჯახს ისედაც დიდი ტრაგედია ჰქონდა გადატანილი.

გადავირბინე მეორე ქუჩაც, ახლა მთავარი იყო, დანარჩენებიც შეუმჩნეველად გადმოსულიყვენ. გადმოირბინა ოთხივემ, მოვეფარეთ სახლს და ყველაზე რთული მონაკვეთის გადალახვაზე დავიწყეთ ფიქრი, ხელისგულივით ჩანდა დაახლოებით ას ორმოცდაათი მეტრის მანძილი, სადაც უნდა გაგვევლო, არანაირი მოსაფარებელი, არცერთი ხე, არცერთი შენობა, ერთადერთი, რაც გვაიმედებდა, პატარა სიღრმის წყლის არხი იყო, რომელიც ეკალბარდით იყო ამოვსებული. ეს მონაკვეთი დაბალში იყო, ცენტრალური გზა მაღლიდან დაგვეყურებდა. მტერი გზის ზედა მხრიდან ხის ძირში ისხდა. რამდენიმე მანქანამ მთავარ გზაზე გაიარა, ფიქრის დრო არ რჩებოდა, გადავიწერე პირჯვარი და ჩავხონხდი ეკალბარდით გავსებულ არხში, ბოლომდის არ გეფარავდა, ძალიან ნელა ვმოძრაობდით, მტერს რომ არ შევემჩნიეთ. ერთმანეთში გასკვნილი ეკალბარდების გახსნა თითქმის თავით მიწვედა, რადგანაც ხელებიდან ავტომატს არ ვიშორებდი, ყოველ წუთს შევძლოთ დავენახეთ, მზადაც ვიყავით საომრად, მაგრამ ტყეში შესვლამდე მაინც საბედისწერო იქნებოდა, თუ დაგვინახავდნენ.

უცებ სატვირთო მანქანის ხმა გაისმა. გავიყინე ადგილზე, რა თქმა უნდა, ყველა ჩემსავით გაშეშდა, თუმცა რას იზამდნენ სხვას, არხი ისე ვიწრო იყო, ერთი კაციც ძლივს ჩაკეხებულად ეტეოდა. გაიარა მანქანამ, ბიჭებს გადაუწერე რულე, აბა წავედით-მეთქი და გავაგრძელე ხოხვა. რაც უფრო ახლო მივიდოდით ცენტრალურ გზასთან, მით უფრო იზრდებოდა რისკის შანსი ჩვენი დანახვისა. სტრატეგია შეიცვალა, უკვე საჭირო იყო, თუ დაგვინახავდნენ, ცეცხლი გავვხსნა და დარჩენილი დაახლოებით ოცდაათი მეტრი სწრაფი სირბილით, სროლით გაგვერბინა, მაგრამ ამ

შემთხვევაში ფორტუნა ჩვენს მხარეს აღმოჩნდა, თუ ამას გამართლება შეიძლება ეწოდოს, როცა ტოვებ საკუთარ სახლს, ახლობლებს, ღირსებასაც კი დროებით, მაგრამ მაინც, მაგრამ თავის მოკვლა მაინც არ არის გამართლებული. ბრძოლა ჯერ კიდევ წინ იყო. მე ვფიქრობ, საერთო ჯამში აფხაზეთის ომში მაქსიმუმი გავაკეთე, რისი გაკეთებაც ერთ რიგით ჯარისკაცს შეეძლო.

გვირაბამდის მივალწვიეთ, გვირაბში შევხობდი, ახლა ოთხი თანამებრძოლის ბედი წყდებოდა, ბოლო მეტრები თითქმის თავისუფლებამდის. ყველანი მშვიდობით შემოხობდნენ, ახლა უკვე აღარ მეშინოდა, რომ ვინმე მოკვდებოდა, ყოველ შემთხვევაში სიკვდილის შანსი გაცილებით ნაკლები იყო. თავის საშინელი ტკივილი ვიგრძენი, ხელი მოვისვი, ეკლის პატარა ტოტი შემრჩა ხელში, მოვიცილე, მაგრამ ეს რას მიშეელიდა, თავი ეკლის ქაცვებით მქონდა საუსე. ახლა ეს არ იყო მთავარი, მთავარი ტყვეების დახმარება იყო. მარტო ჩვენი ძალებით ვერაფერს გავხდებოდით, ამიტომ ჯერ ჯარს უნდა შევერთებოდით.

გვირაბიდან ტყემდის რამდენიმე მეტრი იყო, გადავირბინეთ და დაუწყევით საცალფეხო ბილიკს, ბილიკზე ოლეგი ფოჩხუა იჯდა. სისხლი სდიოდა, თავშიც იყო დაჭრილი, წამოდგა, დახმარება არ მინდაო, მაგრამ რამდენიმე მეტრის შემდეგ სიარული უჭირდა, მივედი, მხარში ამოვუდექი და მივხვდი, თუ როგორი დაღლილი ვიყავი მეც. ცოტა ხანში მაშუკაც ამოუდგა მეორე მხრიდან და გავაგრძელებთ გზა. გზადაგზა ვხვდებოდით მათ, ვინც ჩვენსავით მოახერხა თავის დაღწევა, ერთად ვგროვდებოდით და მივიწვევდით მდინარის გადასალახად. ვახო და ერთი თუ ორი ახალდაბელი (ერთის გვარი თოლორდავა იყო) გვეხმარებოდა დაჭრილის გადმოყვანაში, დანარჩენები, თითქოს აქ არაფერიო, წინ-წინ გარბოდნენ, არადა ოლეგი ფოჩხუა თბილისის ჰოსპიტალიდან გამოიქცა დაჭრილი, ჩემს სამშობლოს, ჩემს სოფელს უჭირსო. ახალდაბაში ერთად შევედით, რაც ზემოთ მაქვს აღწერილი. მეორედ დაიჭრა. ნუთუ ასეთ კაცს მეტი პატივისცემა არ ეკუთვნოდა?! გვიჭირდა დაჭრილის ტარება, მას სიარული არ შეეძლო, თვითონ წუხდა ჩვენზე, დავრჩებით, თქვა კიდევ. ამ სიტყვებმა უფრო შეგვმატა ძალა იმ ბიჭებს, ვინც არ ვტოვებდით დაჭრილს. მის ვაჟკაცობას კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი და ვცდილობდით არ ჩამოვრჩენოდით სამშვიდობოსკენ მიმართულ დანარჩენ მეომრებს.

მდინარეც გამოჩნდა. ფონის მოძებნა იყო საჭირო, ისე დაჭრილის გადაყვანას ვერ შევძლებდით, ფონიც მოძებნეთ, საიდანაც გადავიყვანდით ოლეგის და გადავიწერეთ პირჯვარი, მდინარე გადავლახეთ, მაგრამ მთლიანად სველი ვიყავით სუყველა, ვისაც ოლეგი გადმოგვყავდა, მივემატეთ ბიჭებს. ისინიც თითქმის სველები იყვნენ. დავანთეთ ცეცხლი, გავიხადეთ ფორმები და ოდნავ შევაშრეთ. ერთ

ახალდაბელს პლასტმასის 10 ლიტრიანით არაყი წამოვლო სახლიდან, ახლა უკვე ოცი-ოცდაათი კაცი ვიყავით თავმოყრილი, თითო სასმისი დავლიეთ სუყველამ, ცოტა გავთბით. ახლა იმაზე ვმსჯელობდით, ღამე გავგეთია თუ არა ტყეში, მაგრამ დაჭრილისთვის როგორ ჩაივლიდა ღამე, ვინ იცოდა. ამიტომ გადავწყვიტეთ, როგორმე დასახლებამდის მივსულიყავით. აქედან კიდევ რამოდენიმე ახალდაბელი დაგვეხმარა დაჭრილის წამოყვანაში. მოსახლეობამდის კიდევ ერთი მდინარის განშტოება იყო გადასალახი, როგორც ბიჭებმა თქვეს, თუ არა და ძალიან დიდი მანძილი უნდა შემოგვევლო, რომ მდინარის განშტოების გადალახვა აკვეშორებინა თავიდან. გადაწყდა მდინარის გადალახვა, რადგან ეს გაცილებით მოკლე გზა იყო. ოლეგმა კიდევ ერთხელ მოგვმართა, მე დავრჩებით, მაგრამ ეს გამორიცხული იყო. ცოცხალი კაცის დატოვება ომში სამშობლოს ღალატზე დიდი დანაშაულია, ჩემი ფიქრით. როგორ უნდა იცხოვრო იმის შემდეგ, თუ იცი, რომ სამშობლოსთვის თავდადებულ ადამიანს, ბრძოლაში მძიმედ დაჭრილს, ბრძოლის ველზე ტოვებ.

მივადექით კოდორის მეორე განშტოებას, აქ უფრო ვიწრო იყო მდინარის კალაპოტი, მაგრამ უფრო ღრმა, აქაც მოახერხეთ დაჭრილის გადაყვანა, უკვე ახლოს ვიყავით დასახლებულ პუნქტთან. აქაც დავანთეთ ცეცხლი, ისევ ნახევრად გავაშრეთ ტანსაცმელი და წავედით სოხუმის მიმართულებით. კოდორის ხიდთან ქართველი მეომრები იყვნენ გამაგრებული ერთი გაფუჭებული ტანკით, რომელიც არ იქოქებოდა, ტრაქტორით აუთრევიათ სიმაღლეზე და ნაძვზე მიუბამთ ჯაჭვით, რათა თავდადმართში არ გადაგორებულიყო, სროლით ისროდა, მაგრამ რას იზამდა ასეთ მდგომარეობაში მყოფი მძიმე ტექნიკა. ეს იყო შევარდნაძისგან დარჩენილი უკანასკნელი მოპიკანი, რომელიც ვერ წამოიყვანა თბილისში, მისი უვარგისობის გამო, თითქოსდა შევრივდითო. ასეთი დიდი “პოლიტიკოსი” მაშინ რომ გვეჯერა, თავისი ხალხის ხაფანგი გამოდგა. ნეტა ახლა რას წერს თავის მემუარებში, რა ნამუსით იძინებს თბილ ლოგინში, როცა უამრავი ბავშვი და მოხუცი, მეომრებზე არ მაქვს საუბარი, რომლებიც უსაფლავოდ დარჩნენ აფხაზეთის მიწაზე, მათ შორის, ჩემი ალალი ბიძა, მამიდის მეუღლე, ალექსი ცალანი, რომელიც ახალდაბის უსასტიკეს და უთანასწორო ბრძოლებში დაიღუპა და რომლის საფლავი არ არსებობს, კაცის, რომელმაც თაობები აღზარდა, ბრწყინვალე პედაგოგი და არაჩვეულებრივი ადამიანი, ჩემთვის ქართველი კაცის ეტალონი. მეორე ბიძა, დედის ძმა, უპატიოსნესი ადამიანი, ოთხი შეილის მამა, ბოლო დღეების უთანასწორო ბრძოლების მსხვერპლი გახდა, სოფელ ზემო კელასურსა და ოდიშში მიმდინარე ბრძოლებში ჩემი უფროსი ძმის გვერდით სასიკვდილოდ დაიჭრა. ესეც განუკითხაობის და

მაშინდელი მთავრობის თუ სარდლობის უნიათობის და უვიცობის შედეგი, დატოვა ახალგაზრდა მეუღლე და ოთხი პატარა შვილი, რომლებიც ობლად დიდი სულიერი ტრამვის ქვეშ გაიზარდნენ.

დაჭრილი სამედიცინო პუნქტში გაგაგზავნეთ და ნაწილი ახალდაბიდან გამოსული მეომრებისა უკვე კოლორის აქეთა მხრიდან ვცდილობდით იერიშის მიტანას. ახლა ჩემების არაფერი ვიცოდი, ამიტომ მამუკას ვუთხარი, ჯერ ავიდეთ ჩემს სოფელში, ვნახოთ რა ხდება და იმის მიხედვით ვიმოქმედოთ-მეთქი. წავედით ზემო კელასურის მიმართულებით. არ მახსოვს ზუსტად, როგორ მივალწიეთ ზემო კელასურამდის, ფეხით მოგვიწია ძირითადად სიარული. ზუსტად მახსოვს: საბჭოს სკოლასთან ხუტა შემომხვდა, მე ზურას ამბავი ვკითხე, ძალიან აფორიაქებული ვიყავი, რატომღაც დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ცოცხალს ვნახავდი. ხუტამ მითხრა, გუშინ დილით ვნახე, კარგად იყო, მერე არ მინახავსო. მე არ ვეშეებოდი, არ დამიძალო, თუ რამე გაიგე მითხარი-მეთქი. არაფერი არ გამიგია ნუ გაშინაო, კარგად არისო, მაგრამ ჩემი ბიძაშვილი ტახუნა და ბიძაშენი ორივენი ბრძოლაში დაიღუპნენო. სიმწრისგან რა მექნა არ ვიცოდი.

მოუჩქარეთ მე და მამუკამ სიარულს, ბიძაჩემის სახლთან ქალები და ბავშვები იყვნენ თავმოყრილი, აქედან ბიძაჩემის ოთხი ძალიან პატარა ბავშვი, უძამოდ დედის და მოხუცი ბებიას იმედზე დარჩნენ. ჭურვები ცვიოდა სოფელში, მამაკაცები პოზიციებზე მედგრად იცავდნენ ყოველ გოჯ მიწას. არსაიდან დახმარება, ბიძაჩემი სასწრაფოდ მივებარეთ მშობლიურ მიწას, სასაფლაოც იბომბებოდა, სასწრაფოდ ჩავბრუნდით სოფელში. ბიჭები ვნახე, უკვე გაჩერება არ შეიძლებოდა, ადგილობრივი ძალებით ვერაფერს გაეხვედებოდათ. რუსთავის ასეული იყო ჩვენს ბიჭებზე მომაგრებული, მაგრამ მარტო ავტომატი, თითქმის ტყვია-წამალის გარეშე, არაფრის იმედის მომცემი არ იყო და გადაწყვეტილება მივიღეთ, ქალების, ბავშვების და მოხუცების სვანეთის უღელტეხილით გადაყვანის შესახებ. არ ტოვებდა პოზიციებს ჩემი ბავშვობის მეგობარი, ახლა ჩემი ბავშვის ერთ-ერთი ნათლია, რომელსაც ცალი ფეხით, ერთ ხელში ხელჯოხით და მეორეში საკუთარი თოფით, ერთი დღე და ღამე არ მიუტოვებია ბიჭები, მაგრამ ეს არავინ არ იცის და ისიც წყალტუბოს სანატორიუმში, ცოლთან და პატარა შვილთან, როგორც ყველა, ღვთის ანაბარაა დარჩენილი.

ჩვენს პატარა სოფელში ერთი მუხლუხა ტრაქტორი გვყავდა, აუცილებელი ნივთების დატვირთვა და უმწეო ადამიანების დასხდომა დავიწყეთ, ბებიჩემი არ ტოვებდა სახლს, ჯერ შვილის ძვლები არ გაცვივებულა, და მერად მინდა სიცოცხლეო, მაგრამ ოთხი ობლის გაზრდა კიდევ მის კისერზე იყო (ეს მისიაც პირნათლად შეასრულა. სამივე გოგო

დაოჯახებულია, ბიჭი კი სტუდენტია. ახლა შვილის საფლავზე მისვლას და შემდეგ სიკვდილს ნატრობს). ეს ვუთხარი და ძალით ტრაქტორის ძარაზე შევსვით, ოთხი ობოლი შვილიშვილი შემოვუსვით ირგვლივ და გაგვგრძელეთ ასეთი გაჭირვებული ხალხის ომისგან გარიდება. რამდენიმე მეომარი მივაცილებდით ტრაქტორს, გენწვიშამდის ავაცილებთ, მაშინ ჩემი ძმიშვილი ოთხი თვის იყო. ისიც სხვასთან ერთად დედის და ღვთის ანაბარა დაეტოვებოდა და მე, ჩემი ძმა და მამუკა დავბრუნდით ისევ სოხუმის მიმართულებით, რამდენიმე მეომარი კი დარჩა და ბოლომდე გაჰყვა მათ.

მაჭარკის ხიდთან არჩევანი უნდა გამეკეთებინა. ზღაპარი გამახსენდა: იქეთ წახვალ, მოგკლავენ, აქეთ წახვალ, შეიძლება გადარჩე, ხოლო თუ უკან დაბრუნდები, გადარჩებიო. უკან, რა თქმა უნდა, აღარ დავბრუნდებოდი, რადგან უკვე იქიდან წამოვედით სამშობლოს დასაცავად. მე ჩემს ძმას ვუთხარი, მამუკას მდგომარეობა მძიმეა, მთელი ოჯახი ტყვეობაში ჰყავს, ახლა მის გვერდში ყოფნა უფრო სწორი იქნება-მეთქი და დავრჩი მამუკასთან. ზურას არაფერი უპასუხია, წავიდა ზემო კელასურის მიმართულებით მარტო, მისი გამოხედვა და მძიმე ნაბიჯები ახლაც მიდგას თვალებწინ, არადა ჩვენი მშობლებიც ჯერ კიდევ სოფელში იყვნენ, მათაც დაცვა სჭირდებოდათ, ბიჭებს კი გვერდში ყოფნა, რომლებიც ღვთის შემწევობით, რუსის ჯარს უღობავდნენ სოფელში შემოსასვლელ გზებს. მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, უთქვამთ წინაპრებს, არადა ომში ხომ საშინელებაა მარტოდ ყოფნა. მე მაშინაც და დღესაც მგონია, რომ სწორი ნაბიჯი გადავდგი იმ მომენტში, მიუხედავად ყოველგვარი დიდი ტრაგედიებისა, რომელსაც ამ ჩანაწერში აღვწერ თანმიმდევრულად. მე ვფიქრობ, ჩემმა ძმამ სწორად გაიგო ჩემი გადადგმული ნაბიჯი, მე ზურა სიცოცხლეზე მეტად მიყვარს, მაგრამ მაშინ ძმობაზე წინ სამშობლო, მეგობრობა და სისხლით ნათესაობა დავაყენე, ალალი იყოს ჩემი დაქცეული სისხლი ერთზეც, მეორეზეც და მესამეზეც.



ერთი სიტყვით, მე და მამუკა დავბრუნდით კოდორის ხიდზე. მას მერე ჩემი ძმის და ოჯახის არაფერი გამიგია, სანამ ომი მთლიანად არ მიწყნარდა და მე, მძიმედ დაჭრილი, ჯერ ზუგდიდის, შემდეგ თბილისის საავადმყოფოში ავღმოჩნდი. მაღლობა უფალს, ჩემი ოჯახი მაინც რომ სრული შემადგენლობით გადმომიყვანა ეგრეთ წოდებულ სამშვიდობოს და ბებიას და მამაჩემის საფლაოზე მისვლას მაინც ვახერხებ. მამაჩემმა, რომელსაც მამა არ ახსოვდა, (მეორე მსოფლიო ომში დაიკარგა), ობლობაში გაატარა მთელი ცხოვრება და ცარიელ მიწაზე ააშენა ორი სახლი თავისი გლეხური ჯაფით და წვალებით, ვეღარ გაუძლო გულმა და მაღალი, ღონიერი კაცი 59 წლის ასაკში გულის შეტევით ქალაქში, დედაჩემის ხელებში, სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო ისე გარდაიცვალა, ღმერთმა გაანათოს მისი სული. ძალიან მიყვარდა მამა, უმისობა საფლაოშიც ჩამყვება, ისეთი ადამიანები, ალბათ, ასწლეულებში ძალიან ცოტანი იბადებიან.

კოდორის ხიდთან ახალდაბელი ბიჭები იბრძოდნენ, მათ შორის იყო მამა-შვილი. ვახო ჩემთან ერთად იყო სანგარში ახალდაბის მძიმე ბრძოლებში. ზემოთ მყავს ნახსენები. იგი პატარა ასაკის გმირია ჩემს მეხსიერებაში, ახლა უცხოეთშია. მამამისი მურადი სხვა საგუშაგოზე იყო და თავის ორსართულიან საოცრად მოწყობილ სახლს ცეცხლის ალში გახვეულს უცქერდა. მურადი, ვახოს მამა, თვითონ მიდიოდა კოდორის საგუშაგოებზე, თქვენ დაისვენეთო. ყველანი ველოდებოდით სასწაულს ანუ საქართველოს გამოღვიძლებას, მაგრამ არაფერი მასეთი არ ჩანდა, პირიქით, სოხუმიდან უკვე ავტომატის ტყვიები გვწვდებოდა, ჭურვებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ხაფანგში ვრჩებოდით, რამოდენიმე მეომარი ერთ-ერთის ნათესავის სახლში ვაფარებდით თავს თავისუფალ დროს, იმ სახლში 50 წლამდის ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. საჭმელს ისინი გვაჭმევდნენ, ერთ დღეს მძიმე ტექნიკის საშინელი ხმა და ტყვიამფრქვევის გაბმული კაკანი გაისმა. ყველამ დატოვა სახლი სასწრაფოდ (მათ შორის, ოჯახის უფროსმაც), უკანა ეზოდან, “სეტკას” გადაახტნენ. მე სახლის უკან დერეფნიდან ვადევნებდი თვალებს, რამდენჯერმე მივიხედე მეც უკან დასახევად, მაგრამ ჩემთან ერთად, ანუ სახლის უკანა მხარის ერთ კუთხეში, ოჯახის დიასახლისის შემფოთებული თვალეები შემომეფეთა. თვალწინ დამიდგა ყველა იმ სამი თუ ოთხი დღის პატივისცემა, მისი გამომცხვარი პური თუ მჭადი, და ფეხი არ მომიცვლია. გაყვარებული დერეფანს და ველოდი მტერთან უთანასწორო ბრძოლას. რომ წავსულიყავი, ამ დედისტოლა მანდილოსნის შემფოთებული თვალეები მთელი ცხოვრება არ მომასვენებდა, დამტანჯავდა და მართალიც იქნებოდა.

უცებ გამოჩნდა სამი “ბეტეერი”. ავტომატი მოვიმარჯვე, იქედან კი ჰაერში ისროდნენ, გამიკვირდა, მაგრამ აშკარა იყო, სახლში შემოსვლას არ აპირებდნენ, ოჯახის მანდილოსანს გავხედე. შავებში ჩაცმულ ქალს ფერი არ ედო, არც მე შექნებოდა კარგი ფერი, ალბათ, აბა, მარტო ერთი კაცი რას ვიზამდი სახლში რომ შემოსულიყვნენ. ფილმი ხომ არ იყო, სასწაული მომეხდინა. გაირკვა, რომ ეს მძიმე ტექნიკა, მაშინ ასე ითქვა, თუ მართალია, ყარყარაშვილის მეთაურობით შემოვიდა ზღვის სანაპიროდან და, მათი ჭკუით, ის სროლები გამარჯვების იყო, სამი კინკლა ბეტეერით უნდოდით ძალით ჩაბარებული სოხუმის განთავისუფლება. მალე ის სამი ბეტეერი სვანეთის გზას შესდგომია თბილისში ჩამოსასვლელად. ბიჭები დაბრუნდნენ ტალახში ამოგანგლულები. უკვე გვეცინებოდა, ვხუმრობდი, ნამდვილი დესანტები ხართ-მეთქი.

უკვე პოზიციაზე შეუძლებელი იყო ყოფნა, ორივე მხრიდან საშინელი ზეწოლა იყო, იბომბებოდა მასიურად, დაჭრილების რიცხვი იმატებდა, ბიჭებმა სვანეთით გადმოსვლა გადაწყვიტეს. დიდი მანქანაც იშოვეს, თუ არ წავიდოდნენ სასწრაფოდ, სათუო გახდებოდა მტრის გასწრება, მაგრამ სხვა გზა არ იყო. მე და მამუკამ უარი ვთქვეთ, რადგან მამუკას ოჯახის წევრები ტყვეობაში რჩებოდნენ, და ჩვენც იმედი გვქონდა, რაღაც ძალას მოგვაშველებდა ”მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკოსი, ეღუარდ შევარდნაძე”, რაც არ მოხდა თუმცა რეალურად შეიძლებოდა. შემდგომში აღწევრ, თუ რა შეიარაღება ებარა თენგიზ კიტოვანს, რომელიც ერთ დამეში გამოიპარა თავისი ჯარიანად ოჩამჩირიდან.

დავეშვიდობეთ ბიჭებს და წავედით მეორე ჯგუფთან, რომელიც ზღვის სანაპიროდან გადასვლას და ქართულ ჯართან შეერთებას გეგმავდა, რათა იქედან მოეხდინათ ოჯახის წევრების მტრისგან დახსნა. სადამო ახლოვდებოდა, 27 სექტემბერი, ბოლო დღე სოხუმთან ახლო ყოფნისა, დღე სოხუმის ოფიციალური აღებისა და დღე, როცა ზუსტად 24 წელი შემისრულდა, ბოლო დაბადების დღე სოხუმში მტრის ფეიერვერკებით გავსებული ცით აღინიშნა. ზეიმობდა მტერი გამარჯვებას, ჩვენ კი ყველასგან მიტოვებულებს გული გვიკვდებოდა. ზოგიერთი ქართველი კი, ვერ ხვდებოდა თუ რას კარგავდა, სამწუხაროდ ისინი დღესაც ვერ ხვდებიან, მათ მარტო სოხუმლების ჰგონიათ სოხუმი. ჩვენი წინაპრების სისხლით და ერთიანობით შემონახული უღამაზესი კუთხე გამოგვეკლიჯეს გულიდან რუსმა პოლიტიკოსებმა.

ნუგზარ მეშველიანი

(გაგრძელება მე-3 ნომერში)



გერმანიის ქროსჟ შტატგანწყის ერთ-ერთი სკოლის რაზმის 11 ოქონს ონი ლაშხ ქართული სწავლის მსწავლეობისას. ოსტეროლოში ჰინოვილი ყონცერტის დაყარების შიქრივ ჰაყარის ქართოვილი ბოლოვნიოთისაყბ მიღშიყრიბოლინინ. ნოლორესე „მოყოლოვარისი რავგეზი“ შიქრივ, ლოლოს მჟოლოშიშილომ მსოი შტოტგანწყში მოჰაყარებს მოსბოლის. ჰოლოლო-გნიოვილი სწავლის „სხვინის“ რს სყოლის „ქართული ხეობის“ სინდ-ბოლო მომოლონოლო ვაჟოს ვყრის სწავსავრო ბოვიმს ქართოვილი მოლონის იმ ლოლის ოსვი. მოსყონიბოლო ქართული სიმოლონის ჰინგებს ქართული ციყვს ირსელოვოლის რს მყოლონიბოლოს სქმს რს სოოსციბს ონივირს.

ქოლოლოგნიოვილი სწავლილი „სხვინი“ 1996 წილოს ჰ. თბოლისში სწო-ყარობის (სწავლის ბილო სწოლონიბოს „სინესინი“). მინი ბოლომლო-ვანილო რს ქოლოლოგნიოვის ნონსყარავსშილო. ქოლოლოგნიოვი-სოლოქს-სინი ცომყოლინი. „სხვინის“ ილონი სინი ერთ ჰოვსში იმოვსყონს რს სავოთსშიოთის ოვსეოლოში მიოლო მოსნილოლო. სწავლის ყოლონი ჰაყარის ბივირებს – 9 წილის იყს შაოოისინის რს 10 წილის გივი რივირსინის მიიღი შიქრილოლოლო „ოსონის“ ქართოვილი ოო გერმანილო მყოლოლოთის რივი მოსნიბებს რსინსყოლი.

„ქართული ხეობის“ სინდბოლო მომოლონოლო ვაჟოს ვყრის ბოლომლოვანილო-ბი სინის რავოთ სინესვი რს ბოონს ბყონივი. ვყრის იყვი სწოი წილის რსე სინდბოს რს მსში 150 სოლის სავის ბაჟი მოლონიბოს (სავონცერტის შიქრივნიობში 32 ბივი მოლონი). ყოლონი იმნიოთი მომოლონოლო ბი-ჟოის 10 წილისს. ნოლოლოც ბავონის რავოთმს სონიბს. ვყრის იყვი სინი ერთი ყონცერტი დაყოლონიბის თბოლისში. ის ი ბყრის ჰინოვილი ვსელოს იო სწოლოვნიოთი.

ჰაყარის ქართოვილი ბოლოვანი-ბი მყოლონიბოლოს ოვნივ რავოთი გავცილოს რაზმისიბის. ნოლოლოც ყონცერტის ოლოვნიბოლონიბ-სავს შიქრივი. ონივი სწავ-ბოლი სწო წილის ნოლონიბოლოში ყოლოს ინივი გერმანიის.



გერმანიის ქართული სათვისტომოს ორგანო
გამოცემა 2005 წლის ოქტომბრიდან

Das Organ des Georgischen Vereins in Deutschland e.V.
Herausgegeben seit Oktober 2005

დაფუძნებანი-ბაოთსაბანი:
ბანიონის ხანილი სათვისტომო

სახეაქოი ყოლია:
ნინო საბელაშვილი (მთ. რედაქტორი)
ნინო დალაქიშვილი
ნინო ცხომელიძე-დეჰპერშიდტი
თინათინ ჩითინაშვილი (რედაქტორი)

გერმანიის ქართული

Georgischer Verein in Deutschland e.V.
Leri Datashvili
Roemerhofweg 51c
85748 Garching b. München

დაგვიკავშირდით:
ტელ.: 0711/12 28 97 26
ელ. ფოსტა: qartuli@satvistomo.de

ჩვენი ზახუნოთის ამიხისში გამომავანი ქართული გახეთი „მამული“